

განათლება ჩრდილოეთ ბაზარზე : კერძო რეპეტიტორობის მონიტორინგი

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო
ინსტიტუტი

თბილისი, 2007

პროექტის ინიციატორი და მხარდამჭერია ღია საზოგადოების ინსტიტუტი, განათლების ხელშეწყობის პროგრამა და განათლების პოლიტიკის ცენტრების ქსელი. საქართველოში პროექტი განახორციელა განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა.

რედაქტორი და პროექტის მენეჯერი:

ვირჯინია ბუდიენე, განათლების პოლიტიკის ცენტრი, ფილოსოფიის ფაკულტეტი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, ლიტვა

საქართველოს მხრიდან პროექტის დირექტორი:

გიორგი მაჩაბელი, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი

საერთაშორისო კონსულტანტები:

ალგირდას ზაბულიონისი, საკონსულტაციო კომპანია შპს ანგლია ესესმენტ
ივეტა სილოვა, განათლების ინოვაციების ცენტრი, ბაქო, აზერბაიჯანი
მარკ ბრეი, განათლების დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი (UNESCO), პარიზი, საფრანგეთი
ერიკ ჯონსონი, პედაგოგთა კოლეჯი, კოლუმბიის უნივერსიტეტი, აშშ

გამოცემაში მოყვანილი შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ემთხვეოდეს ღია საზოგადოების ინსტიტუტის მოსაზრებებს

© 2006 ღია საზოგადოების ინსტიტუტის განათლების მხარდაჭერის პროგრამა
© განათლების პოლიტიკის ცენტრების ქსელი
© განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	4
რეკომენდაციები კვლევის შედეგების გამოყენებასთან დაკავშირებით	5
მისაღები გამოცდები და კერძო რეპეტიტორობა საქართველოში.....	6
ანა მათიაშვილი, ნინო ქუთათელაძე განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, საქართველო	
ბანათლება ჩრდილოვან ბაზარზე: სამრთაშორისო ანბარიში.....	34
(აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, საქართველო, ლიტვა, მონღოლეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, უკრაინა)	
წინასიტყვაობა	36
კერძო რეპეტიტორობა ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნებში ივეტა სილოვა, მარკ ბრეი.....	39
კერძო რეპეტიტორობის გავლენა ბანათლების პოლიტიკასა და პრაქტიკაზე ივეტა სილოვა, მარკ ბრეი.....	72

შუსაგალი

წარმოდგენილი ნაშრომი საქართველოში კერძო რეპეტიტორობის ფენომენის სიღმისეული შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენს. იგი შეიცავს ადგილობრივ ანგარიშს - სიტუაციის მიმოხილვას საქართველოში 2004 წლის შემოდგომა-ზამთრის მდგომარეობით, ისევე როგორც კერძო რეპეტიტორობასთან დაკავშირებული პრობლემების შედარებით ანალიზს მსოფლიოს ცხრა ქვეყანაში.

ვფიქრობთ, რომ ეს გამოცემა დააინტერესებს როგორც განათლების სპეციალისტებს, ისე ფართო საზოგადოების წარმომადგენლებს, უზრუნველყოს საკმარის ინფორმაციას განსჯისათვის, აღძრავს კონსტრუქტიულ დებატებს და საფუძველად დაედება განხილვებით კვლევას განათლების რეფორმის გარკვეული ასპექტების წარმატების შესაფასებლად საქართველოში.

გიორგი მაჩაბელი

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი

რეკომენდაციები კვლევის შედეგების ბამოყენებასთან დაკავშირებით

სიმონ ჯანაშია

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორი

განათლების დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა საინტერესო მასალას იძლევა საქართველოში კერძო რეპეტიტორობის ფენომენის შესწავლის კუთხით. ამ კვლევის შედეგად ჩანს, რომ საქართველოში 2004 წლის შემოდგომისთვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის მსურველების დიდი ნაწილი ი კერძოდ ემზადებოდა მასწავლებლებთან. კერძო რეპეტიტორების ნაწილი იმავე სკოლიდან იყო, რომელშიც აბიტურიენტები სწავლობდნენ, ნაწილი კი თვითონ უმაღლესი განათლების დაწესებულებების მისაღები კომისიებიდან.

რეპეტიტორობის ძირითად უარყოფით მხარეებად მიიჩნევა ხოლმე ის, რომ ის:

- კორუფციული სისტემის ნაწილია. სერვისის მომწოდებლები ხშირად ფლობენ მონოპოლიებს და ძირითადად არ აქვთ აღებული თუ მინიჭებული პასუხისმგებლობები
- განათლების, როგორც სოციალური გათანაბრების საშუალების წინააღმდეგ მოქმედებს
- უარყოფითად მოქმედებს ზოგად განათლებაზე - მოსწავლეები და მასწავლებლები ძირითადად ორიენტირებულები ხდებიან საგამოცდო პროგრამის დაძლევაზე, რომელიც ვერ ასახავს ზოგადი განათლების სპექტრის მრავალფეროვნებას

ზემოთხსენებული კვლევა საინტერესო ინფორმაციას იძლევა ჩამოთვლილი საკითხების საქართველოში აქტუალობასთან დაკავშირებით. რადგან კვლევა რამოდენიმე წლის წინ და აბსოლუტურად სხვა რეალობაშია ჩატარებული, სასურველია, ამ კვლევის შედეგების შედარება ამჟამინდელ ვითარებასთან და სხვადასხვა ფაქტორის ცვლილებებთან კავშირში კვლევების ჩატარება, რომელიც შეისწავლის:

- რამდენად შეიცვალა კერძო რეპეტიტორობის ხასიათი და მასშტაბი ერთიანი ეროვნული გამოცდებიდან გამომდინარე (იგულისხმება როგორც გამოცდების სტრუქტურის, ისე მისი შინაარსის გავლენა და ინტენსივობა)
- რამდენად მოქმედებს საქართველოში მოქმედი საგანმანათლებლო სისტემა (კანონმდებლობა, განათლების მართვის სხვა მექანიზმები) კერძო რეპეტიტორობის პრაქტიკაზე
- რამდენად და როგორ მოქმედებს კერძო რეპეტიტორობა ეროვნული სასწავლო გეგმების შესრულებაზე სკოლებში და ზოგადად მოსწავლეების განათლების ორიენტირებაზე
- რამდენად მოქმედებს რეპეტიტორთან სიარული აბიტურიენტის წარმატებაზე ან ამ წარმატების შესახებ წარმოდგენებზე

ჩვენი აზრით მსგავსი კვლევის შედეგად უნდა მოხდეს სხვადასხვა პრევენციული ზომების გაძლიერებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. მაგალითისთვის: თუ დადგინდა, რომ გამოცდებმა გაზარდა რეპეტიტორობის ხარისხი, მაგრამ რეპეტიტორობა მნიშვნელოვნად არ ზრდის უმაღლესში მოხვედრის შანსებს - მაშინ მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით საქმის მოგვარება, იმისთვის, რომ მოსახლეობამ ერთი მხრივ საკუთარი სახსრები უფრო აზრიანად დახარჯოს და მეორე მხრივ არ ჰქონდეს აპათია იმის გამო, რომ სოციალური სტატუსის გამო იჩაგრება; იმ შემთხვევაში თუ უმაღლესში მოხვედრასა და რეპეტიტორთან სიარულს შორის მაღალი კორელაციაა, ეს სხვა მრავალ მიზეზთან ერთად უნდა ნიშნავდეს იმასაც, რომ უმაღლესის მისაღები კრიტერიუმები და ფორმები დასახვეწია. რეკომენდაციების შემუშავება შეიძლება ეხებოდეს იმ სფეროების გაძლიერებასაც, რაც შეიძლება გახდეს საქართველოს მშობლებისთვის წარმატების ალტერნატიულ წყაროდ. შედეგად შესაძლებელი იქნებოდა კერძო ფინანსური რესურსების ფორმალური თუ არაფორმალური განათლების უფრო მიზანმიმართულად მობილიზება.

სასურველი იქნებოდა, კვლევის ისე ჩატარება, რომ წინა კვლევის მასალებზე და სხვა მონაცემების გათვალისწინებით ჩანდეს დინამიკა. ასევე სასურველი იქნებოდა რეპეტიტორობის მასშტაბებისა და გავლენების ინდიკატორების შემუშავება, რომელიც ჩაინერგებოდა განათლების ინდიკატორებში. თუ განათლებას შეეხება, როგორც ძირითადად ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და ეკონომიურობის ერთობლიობას მაშინ რეპეტიტორობის გავლენა შეიძლება სწორედ ამ მიმართულებებით იქნას განხილული მომავალ კვლევებში.

თბილისი, 9 ნოემბერი 2006

მისაღები გამოცდები და კერძო რეპეტიტორობა საქართველოში

(სისტემის ანალიზი)

ანა მათიაშვილი, ნინო ქუთათელაძე
განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი

კერძო რეპეტიტორობა საქართველოში ფართოდ გავრცელებული ფენომენია, რომელიც სახეზეა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ყველა საფეხურზე, მათ შორის დაწყებით კლასებშიც. საბჭოთა განათლების სისტემის მემკვიდრე სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც კერძო რეპეტიტორობის პრაქტიკა, ძირითადად, უნივერსიტეტის მისაღები გამოცდებს უკავშირდება. კერძო რეპეტიტორობა, ტრადიციულად, მისაღები გამოცდების წარმატებულად ჩაბარების წინაპირობად ითვლება. შესაბამისად, შვილების სკოლიდან უნივერსიტეტში წარმატებულად გადასვლის სურვილის მქონე მშობლები ფულს იხდიან კერძო რეპეტიტორობაში, რაც, ამ შემთხვევაში, საუკეთესო ინვესტიციად ითვლება. კერძო რეპეტიტორობა, ერთის მხრივ, პასუხია სასკოლო განათლების დაბალ ხარისხზე, ხოლო მეორეს მხრივ – დამატებითი შემოსავლის მოპოვების საშუალებაა დაბალი ანაზღაურების მქონე პედაგოგებისთვის.

კერძო მომზადება კომპლექსური ფენომენია, რომელიც გავლენას ახდენს როგორც სოციალურ, ისე საგანმანათლებლო კონტექსტზე. ერთის მხრივ, კერძო რეპეტიტორობა ეხმარება მოსწავლეებს ცოდნის მიღებაში და ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის აკომულირებას ქვეყანაში. მეორეს მხრივ, მან შეიძლება გააღრმავოს ისედაც თვალსაჩინო სოციალური უთანასწორობა და დააბრკოლოს საგანმანათლებლო პროცესები სკოლაში (Bray, 1999, 2003). კერძო რეპეტიტორობა, ასევე, უკავშირდება ჩრდილოეთ ეკონომიკას განათლების სფეროში, სადაც ხდება გადასახადების დამალვა. ამავე დროს, იგი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საგანმანათლებლო ეთიკას.

საქართველოში კერძო რეპეტიტორობა სერიოზულ კითხვებს წარმოქმნის თანასწორობასთან დაკავშირებით. სასკოლო და უმაღლესი განათლების სისტემის ხარვეზები აიძულებს სკოლის მოსწავლეთა უმეტესობას დამატებითი დახმარება კერძო მოსწავლეებლებთან ეძებოს, იმისათვის, რომ წარმატებით ჩააბაროს

მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში. ინვესტიციები კერძო მომზადებაში ქართული ოჯახების ფინანსური დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ ოჯახების საგანმანათლებლო ხარჯებთან დაკავშირებით (2001) აჩვენა, რომ საშუალოდ ოჯახების მიერ კერძო მომზადებაზე ცხრა თვის განმავლობაში გაწეული ხარჯები 11 600 000 ლარს შეადგენდა, რაც 2000 წელს განათლების სექტორში საზოგადოების საერთო დანახარჯის 9.5 პროცენტია. რადგან ღარიბ მოსახლეობას არ აქვს საშუალება, გადაიხადოს კერძო მომზადების საფასური, ის განსაკუთრებით ზარალდება სასკოლო განათლების არაადეკვატური ხარისხის გამო და, შესაბამისად, ნაკლებად მიუწვდება ხელი უმაღლეს განათლებაზე.

საქართველოს მთავრობის მიერ მრავალი წლის მანძილზე ხდებოდა კერძო რეპეტიტორობის ფენომენის იგნორირება. დღეისათვის არ არსებობს კერძო რეპეტიტორობის დამარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოები. ეს საკითხი არ არის ასახული განათლების სამინისტროს პოლიტიკაში და ხელისუფლება არ გამოხატავს ოფიციალურ პოზიციას ამ საკითხთან მიმართებაში. განათლების სფეროში საქართველოს მასშტაბით ჩატარებული კვლევები ამ საკითხსაც შეეხო, რის შედეგადაც ხაზი გაესვა ამ ფენომენის შემაშფოთებელ მასშტაბებს სისტემაში, თუმცა, საკითხს სათანადო ყურადღება მაინც არ დაეთმო.

წარმოდგენილი კვლევა საქართველოში კერძო რეპეტიტორობის სიღმისეული შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენს. კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს ამ საკითხთან დაკავშირებით საჯარო განხილვებისა და დებატების სტიმულირებაა. ამ თავში აღწერილია საქართველოში კერძო მომზადების სპეციფიკა და ძირითადი მიმართულებები, გაანალიზებულია ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს და განაპირობებს კერძო რეპეტიტორობაზე მოთხოვნას. ასევე საუბარია იმ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უწყობს ხელისუფლების მხრიდან ამ ფენომენის იგნორირებას და წარმოდგენილია საქართველოს რეალობისთვის ადეკვატური პოლიტიკური ზომების გატარების შესაძლებლობები.

მონაცემები შეგროვდა 2004 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში და მოიცავდა მოსწავლეთა ორ განსხვავებულ პოპულაციას: (1) საქართველოს მასშტაბით უმაღლესი სასწავლებლების პირველკურსელები (უნივერსიტეტის შერჩევა) და (2)

თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მეათე კლასის მოსწავლეები (სკოლის შერჩევა).

ზუსტი შერჩევის გასაკეთებლად სრული ინფორმაცია (საქართველოს მასშტაბით ყველა უმაღლესი დაწესებულებისა და ფაკულტეტების მიხედვით სტუდენტების სიები) ხელმისაწვდომი არ იყო. 1000 რესპოდენტისაგან შემდგარ შერჩევას შეძლებისდაგვარად სრულად უნდა აესახა მთლიანად მოსახლეობის ინტერესები. ამიტომ, რესპოდენტების შერჩევის საჭირო პროპორციის განსაზღვრის მიზნით, კვლევითი ჯგუფი რამდენიმე ინსტიტუტის ინფორმაციასა და ექსპერტთა მოსაზრებებს დაეყრდნო.

გამოყენებული იყო ორი პროპორცია:

1. სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ დედაქალაქში / არა დედაქალაქში;
2. სტუდენტები, რომლებიც ირიცხებიან „პრესტიჟულ / არაპრესტიჟულ ფაკულტეტებზე“

ფაკულტეტის სტატუსი (პრესტიჟული/არაპრესტიჟული) განისაზღვრა იმ აბიტურიენტთა რაოდენობით, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კონკრეტულ ფაკულტეტზე მისაღებ გამოცდებში. რადგან ამ საკითხზეც ზუსტი ინფორმაცია არ არსებობდა, გამოყენებული იქნა ექსპერტთა მოსაზრებები.

პირველი პროპორციის შეფარდება – სტუდენტები, რომლებიც დედაქალაქში / არა დედაქალაქში სწავლობენ 70% - 30%-თან ფარდობით განისაზღვრა. მეორე პროპორციის შეფარდება - სტუდენტები, რომლებიც „პრესტიჟულ / არაპრესტიჟულ“ ფაკულტეტებზე ირიცხებიან – 60% - 40%-თან ფარდობით. კვლევაში რესპოდენტთა პროცენტული განაწილება ემთხვევა ზემოთ აღნიშნულ პროპორციებს.

რესპოდენტთა შესარჩევად გამოყენებული იყო სამეტაპიანი დიზაინი. პირველი ეტაპი გულისხმობდა უმაღლესი სასწავლებლების შერჩევას. ამისთვის მომზადდა ორი სია. პირველ სიაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლები, ხოლო მეორეში – დედაქალაქს გარეთ არსებული სასწავლებლები. თითოეული სიიდან შესაბამისი რაოდენობის ინსტიტუტების ამორჩევა შემთხვევითი პრინციპით მოხდა. კვლევითმა ჯგუფმა ამოირჩია 4 უმაღლესი სასწავლებელი თბილისში და 2 – თბილისს გარეთ.

მეორე ეტაპზე მოვიპოვეთ ინფორმაცია შერჩეულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების შესახებ და განვსაზღვრეთ პრესტიჟული/არაპრესტიჟული ფაკულტეტები. ქვემოთ, ცხრილში მოცემულია კვლევის პოპულაციის განაწილება.

ბოლო ეტაპი გულისხმობდა ხსენებული ფაკულტეტებიდან სტუდენტების შერჩევას, რაც სისტემატიური შერჩევის მეთოდის გამოყენებით განხორციელდა.

არჩეული უმაღლესი სასწავლებელი	ადგილმდებარეობა	მაღალი პრესტიჟის ფაკულტეტი	დაბალი პრესტიჟის ფაკულტეტი	სულ
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თბილისი	250	150	400
ტექნიკური უნივერსიტეტი	თბილისი	100	50	150
თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტი	თბილისი	-	50	50
თბილისის ეკონომიკური ურთიერთობების უნივერსიტეტი	თბილისი	100	-	100
ქვეჯამი:		450	250	700
თელავის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი	თბილისს გარეთ	-	50	50
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თბილისს გარეთ	150	100	250
ქვე ჯამი:		150	150	300
ჯამი		600	400	1000

რაც შეეხება სკოლის შერჩევას, ამონაკრების სიდიდე განისაზღვრა 500 რესპოდენტით. შერჩევამდე სკოლები დანაწილდა მათი ადგილმდებარეობის მიხედვით თბილისის ხუთი რაიონის შესაბამისად, თითოეულ რაიონში ცალკე შერჩევა გაკეთდა. ამ პირველად განაწილებაში სკოლები დახარისხდა ტიპის მიხედვით – კერძო/საჯარო. შერჩევის პირველი ეტაპი გულისხმობდა თითოეულ ჯგუფში 5 სკოლის შერჩევას სკოლის სიდიდის პროპორციული აღბათობის მეთოდის გამოყენებით. სულ შეირჩა 25 სკოლა.

შერჩევის მეორე და საბოლოო საფეხურზე, თითოეული სკოლიდან მოვიპოვეთ მეთექვსმეტე კლასების სრული სიები და თითოეული სკოლიდან სისტემატიური შერჩევის მეთოდით შევარჩიეთ 20 რესპოდენტი.

კონტექსტი – ბანათლება ბარდამაგალ ეტაპზე და კერძო მომზადების ხელშეწყობის უწყვეტობა

სტრუქტურა და განათლების ძირითადი ინდიკატორები

ზოგადი განათლების შესახებ ახალი კანონის მიხედვით (2005), დაწყებითი განათლების საფეხური მოიცავს I-VI კლასებს, საბაზო გათლების საფეხური – VII - IX კლასებს, ხოლო საშუალო განათლების საფეხური – X, XI, XII კლასებს. ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რაოდენობა 2003-2004 წლებში ქვეყნის მასშტაბით 3 131 შეადგენს, მოსწავლეთა საერთო რაოდენობა - 647 942-ს, საიდანაც 152041 მოსწავლე თბილისში, დედაქალაქში ცხოვრობს. კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა შეადგენს 156-ს (74 თბილისში მოქმედებს), სადაც 16 902 მოსწავლე სწავლობს. გარდა ამისა, არის 65 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, სადაც 20 355 მოსწავლე სწავლობს (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2004). საქართველოში 26 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელია, რომელთაც ქვეყნის მასშტაბით 18 ფილიალი აქვთ. კერძო უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა 150-ს აღწევს, საიდანაც უმეტესობა (87) დედაქალაქშია განთავსებული. 2003-2004 წლის მონაცემებით საჯარო უმაღლეს დაწესებულებებში 123 866 სტუდენტი სწავლობს, ხოლო კერძო უმაღლეს დაწესებულებებში - 29 388. (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2004).

გეოგრაფიული განსხვავებები

შეფასების მონაცემების თანახმად, თბილისის სასკოლო სისტემა უკეთეს პირობებში იმყოფება. აქ მეტი რესურსი, უკეთესი პედაგოგები, მეტი მხარდაჭერა და მეტი შესაძლებლობები არსებობს სასკოლო პროცესებში მშობლების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. მოსწავლეთა დაახლოებით 20% თბილისში სწავლობს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 53 % ქალაქის სკოლებში დადის, მაშინ როდესაც დანარჩენი ნაწილი სოფლის 2 500 სკოლაში სწავლობს. სოფლის სკოლები განსაკუთრებით მწვავედ განიცდიან კვალიფიციური პედაგოგიური კადრებისა და რესურსების დეფიციტს, რთულია ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი რესურსების მოზიდვა და პირობები განსაკუთრებით მძიმეა (World Bank, 2001).

გენდერული განსხვავებები განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით არ გამოიკვეთა, რადგან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოწაფეთა - ბიჭების და გოგონების რაოდენობა დაახლოებით ერთნაირია (მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 49 % გოგონებია) (World Bank, 2001).

საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარი ფაქტიურად არ გვხვდება და ზრდასრული მოსახლეობის 20%-ზე მეტს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. მოსახლეობის აღწერის სანდო მონაცემების არარსებობა ართულებს საფესურების მიხედვით მოსწავლეთა კონტინგენტის ზუსტ რანჟირებას. თუმცა, ცნობილია, რომ 1990 - 1997 წლებში, მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 1, 242 მილიონიდან 924 ათასამდე შემცირდა. ეს განსაკუთრებით შეეხო გარკვეული ასაკობრივ ჯგუფებს. საჯარო დაწესებულებებში სკოლამდელი კონტინგენტი შემცირდა 200 000-დან 83 000-მდე. დამამთავრებელი კლასების კონტინგენტი (X-XI კლასები) 105 000-დან 70 000-მდე, ხოლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კონტინგენტი - 42 000-დან 20 000-მდე (World Bank, 2001). ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კონტინგენტის შემცირება უფრო თვალსაჩინოა ქალაქებში (14.5%), ვიდრე სოფლებში (9.5%). ამას შეიძლება განაპირობებდეს: შობადობის მაჩვენებლის დაცემა, საერთო სტატისტიკიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოსწავლეთა გამოთიშვა, შიდა მიგრაცია და კერძო სკოლების კონტინგენტის გაზრდა (დაახლოებით 10 000 I- XI კლასებში 1997 წელს). თუმცა ეს ტენდენცია შეიძლება სხვა ფაქტორებსაც უკავშირდებოდეს, განსაკუთრებით დამამთავრებელ კლასებში, რაც ხარისხობრივი კვლევის შედეგებმა დაადასტურა. ეს ფაქტორები ამ თავის ბოლოშია განხილული.

1990 -1994 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის 75 %-ით შემცირებამ და მასში განათლების დაფინანსების მაჩვენებლის 2-% მდე შემცირებამ საქართველოში განათლების სექტორს მნიშვნელოვანი სირთულებები შეუქმნა. განათლების სექტორისთვის დაფინანსების მკვეთრი შემცირება რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და მსოფლიოს მაშტაბით უპრეცედენტო მოვლენა იყო. 1995 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სექტორისთვის გამოყოფილი, ხარჯები 1989 წლის რეალური მაჩვენებლის მხოლოდ 5%-ს შეადგენდა. ეს მთლიანი შიდა პროდუქტის 75 %-იანი ვარდნისა და მასში განათლების დაფინანსების წილის შემცირების შედეგი იყო, რომელიც 1991 წელს 7%-მდე და 1994 წლისთვის 1%-ზე ქვემოთ ჩამოვიდა. 1995 წლიდან აღორძინების პერიოდი დაიწყო და 1995-1998 წლებში საჯარო განათლებაზე გაწეული ხარჯი გაოთხმაგდა და მისი წილი საერთო

სახელმწიფო ხარჯებში 6.7%-დან 11.3%-მდე გაიზარდა. იმ ფაქტმა, რომ 1999 წლის დეკემბრიდან მთლიანი შიდა პროდუქტი 35%-ით შემცირდა, გაართულა მონაცემთა შედარება. ძველი მონაცემების მიხედვით 1999 წელს განათლების დაფინანსების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 1,4% შეადგენდა. მთლიანი შიდა პროდუქტის ახალი მაჩვენებლის მიხედვით, განათლების სფეროს დაფინანსების წილი გაიზარდა და 1998 წელს 2,4%-ს შეადგენდა. მიუხედავად ამისა, მაჩვენებელი კვლავაც დაბალია საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით. მხოლოდ ფინანსური ინვესტიციის გაზრდა ვერ გადაჭრის ხელფასების, სასწავლო მასალებისა და სასკოლო ინვენტარის ხალმისაწვდომობის პრობლემებს, ისევე როგორც სხვა სირთულეებს, რომლებიც სახეზეა საქართველოს განათლების სისტემაში. თუმცა, რესურსების დეფიციტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განათლების ხარისხზე. (World Bank, 2001).

მნიშვნელოვანი ფაქტორები

განათლების სფერო

რეპეტიტორობის ფორმებისა და მასშტაბის ჩამოყალიბებაზე საქართველოში მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა გარკვეული ფაქტორების ერთობლიობამ, რომელთა დიდი ნაწილი, თავისმხრივ, განათლების სფეროს უკავშირდება. ეს ფაქტორებია მისაღები გამოცდების სისტემა, პედაგოგთა ხელფასები და განათლების ხარისხი.

მისაღები გამოცდები

მისაღები გამოცდების ჩაბარებაზე ორიენტირებულ კერძო რეპეტიტორობას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. კერძო გაკვეთილები ხშირად ინდივიდუალურად ან ჯგუფურად ტარდება მოსწავლის ან მასწავლებლის სახლში. სხვა კვლევების მიხედვით, ასეთი პრაქტიკა, ძირითადად, იმ ქვეყნებშია გავრცელებული, სადაც კერძო მომზადებაში ინვესტიციამ შეიძლება განაპირობოს წარმატება მისაღებ გამოცდებზე (Bray 2003). 2005 წლამდე, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხად აბიტურიენტებს გარკვეულ საგნებში (ძირითადად, 4 საგანში) გამოცდების ჩაბარება უწევდათ. საგანთა ჩამონათვალი განსხვავდებოდა სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში. მისაღები გამოცდები,

ძირითადად, ზაფხულში ტარდებოდა, აკადემიური წლის დაწყებამდე. მათი ადმინისტრირება ხდებოდა ადგილობრივად, ცალკეული საგანმანათლებლო ინსტიტუტების მიერ, რომლებსაც, თავისმხრივ, თითოეულ საგანში გამოცდების ჩასატარებლად უნივერსიტეტების ფაკულტეტების თანამშრომლებისაგან შემდგარი მისაღები კომისიები ჰქონდათ შექმნილი. გამოცდები წერით, ზეპირად ან კომბინირებულად ტარდებოდა და დიდი მოცულობის ინფორმაციის დამახსოვრებას მოითხოვდა.

უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები სუბიექტურობით ხასიათდებოდა, აბიტურიენტებს მაღალი კონკურენციის პირობებში უწევდათ სხვადასხვა საუნივერსიტეტო პროგრამებში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული შეზღუდული რაოდენობის ადგილებისთვის ბრძოლა. თითოეულ ვაკანსიაზე კონკურენციის დონე ვარირებდა პროგრამის მიხედვით, ზოგიერთი პროგრამისთვის ეს მაჩვენებელი 1:15 ფარდობას აღწევდა. საშუალო სკოლები და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები ზოგჯერ ვერ უზრუნველყოფდნენ გამოცდების ჩაბარებისათვის საჭირო ცოდნის გადაცემას. თუმცა, მოსწავლის მომზადების დონეს ხშირად არც ენიჭებოდა მნიშვნელობა, რადგან მისაღები გამოცდები ფართო ასპარეზს ქმნიდა კორუფციისათვის. აბიტურიენტის ჩარიცხვის გარანტიის მოსაპოვებლად მშობლებს მისაღები კომისიის წევრებისათვის და უნივერსიტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის ქრთამის გადახდა ან საკუთარი კავშირების გამოყენება უწევდათ.

მისაღები კომისიის წევრებთან და უნივერსიტეტის პროფესორებთან მომზადება უფრო გამართლებულად ითვლებოდა, რადგან პროფესორები და კომისიის წევრები უკეთ იცნობდნენ მისაღები გამოცდების სპეციფიკას და, რაც მთავარია, შეეძლოთ საკუთარი სტატუსისა და კავშირების გამოყენება კონკრეტული მოწაფის სასარგებლოდ. ასეთი პროფესორების მომსახურება ყოველთვის ძვირი იყო და მხოლოდ ყველაზე მდიდარი და ძლიერი კავშირების მქონე ოჯახებისთვის იყო ხელმისაწვდომი.

2005 წელს სახელმწიფომ შეცვალა მისაღები გამოცდების პოლიტიკა. ამ წლიდან მოსწავლეები უმაღლეს სასწავლებლებში ცენტრალიზებული ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხებიან. იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც სწავლის გაგრძელება სურთ, სავალდებულოა სამ ძირითად საგანში ტესტების ჩაბარება. ესენია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ერთ-ერთი ოთხი

შეთავაზებულიდან) და ზოგადი უნარ-ჩვევები. ცენტრალიზებული ეროვნული გამოცდების ადმინისტრირება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ხორციელდება (NAEC). მიუხედავად ამ ცვლილებისა, მოთხოვნა კერძო მომზადებაზე, სავარაუდოდ, მაინც მაღალი რჩება, თუმცა მისი ფორმა და ორიენტაცია ახალი გამოცდების შესაბამისად შეიცვალა.

ზოგადი განათლების ხარისხის გაუარესება

უმაღლესში მისაღები გამოცდების გარდა, კერძო რეპეტიტორობაზე მოთხოვნის განმეორებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, სავარაუდოდ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განათლების დაბალი ხარისხია. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც წლების განმავლობაში კერძო რეპეტიტორობაზე არსებული მოთხოვნის შედარების საშუალებას მოგვცემს, ხარისხობრივი კვლევები ცხადყოფს, რომ მოთხოვნა გაიზარდა გარდამავალ პერიოდში, როდესაც განათლების ხარისხი მნიშვნელოვნად დაეცა. უფრო მეტიც, კერძო რეპეტიტორობაზე მოთხოვნის ზრდა დაწყებით კლასებშიც შეინიშნება. განათლების ხარისხის დაცემა კი, თავისმხრივ, მოძველებულ კურიკულუმსა და სწავლების მეთოდებს, სასწავლო მასალების დეფიციტს, არასაკმარის ფინანსურ რესურსებს, ინფრასტრუქტურის მოშლასა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების არაეფექტურ სტრატეგიას უკავშირდება.

ეკონომიკური ფაქტორები

კერძო რეპეტიტორობაზე მოთხოვნის ზრდა გარდამავალ პერიოდში მასწავლებელთა და რეპეტიტორთა მძიმე სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობასაც უკავშირდება. 90-ანი წლების დასაწყისში საქართველო მძიმე ეკონომიკურ პირობებში აღმოჩნდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტისა და დამუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სამოქალაქო ომის გამო. ამ პოლიტიკური დაძაბულობის შედეგად, ეკონომიკა სრულიად მოიშალა და 1990-1994 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 75%-ით დაეცა. ეკონომიკური კრიზისი ყველა სფეროს შეეხო - მათ შორის, განათლებასაც. განათლებაზე გაწეული ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის პროპორციაში 1991 წელს 7 პროცენტიდან 1994 წლისთვის 1 პროცენტამდე დაეცა. ასეთმა მკვეთრმა ვარდნამ გრძელვადიანი ნეგატიური ეფექტი იქონია განათლების ყველა ასპექტზე. სახელმწიფოს აღარ შეეძლო საკმარისი დაფინანსების გამოყოფა

მასწავლებელთა ტრენინგზე, ინფრასტრუქტურის შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

ამ პერიოდის განმავლობაში მასწავლებელთა ხელფასები მნიშვნელოვნად შემცირდა, მათი ცხოვრების პირობები კი გაუარესდა. სრულ შტატზე მყოფი მასწავლებლის შემოსავალი 2005 წლამდე თვეში 80 ლარს შეადგენდა (45 USD), მაშინ, როდესაც ქვეყნის მასშტაბით საშუალო ხელფასი 2004 წელს 150 ლარს (83 USD) შეადგენდა. არასახარბიელო პირობებმა პედაგოგების ნაწილს დამატებითი შემოსავლის წყაროების ძიებისაკენ უბიძგა. მოსწავლეების კერძოდ მომზადება მარტივი გზა იყო ასეთი შემოსავლის მისაღებად. საშუალო სკოლების ბევრი პედაგოგი საკუთარ მოსწავლეებს კერძო გაკვეთილებს სთავაზობდა და ამის აუცილებლობას შემდეგი არგუმენტებით ხსნიდა: კლასის გადატვირთულობისა და საგაკვეთილო დროის სიმცირის გამო, შეუძლებელია სავალდებულო მასალის ხარისხიანად სწავლება და ათვისება. შესაბამისად, სასკოლო პროგრამის სწავლებაში მასწავლებელთა ნაწილი დამატებით შემოსავალს იღებდა, მაშინ როდესაც სახელმწიფო მათ ამაში ხელფასს უხდიდა.

სოციო-კულტურული ფაქტორები

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს საქართველოში კერძო რეპეტიტორობაზე, არის განათლების მაღალი სტატუსი ქართული საზოგადოების ღირებულებათა სისტემაში. საქართველოში განათლების მაღალ სტატუსს ხანგრძლივი ისტორია აქვს. კარგი განათლება პრესტიჟულად ითვლებოდა როგორც საბჭოთა, ასევე პოსტ-საბჭოთა პერიოდში. მაშინაც კი, როდესაც ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა და გაიზარდა უმუშევრობის მაჩვენებლები, მშობლებს მაინც სურდათ, ინვესტიცია განეხორციელებინათ საკუთარი შვილების განათლებაში. სავარაუდოდ, ბევრი მშობლისათვის კერძოდ მომზადება საკუთარი შვილისათვის სრულყოფილი განათლების მიცემისა და კონკურენტულ გარემოში წარმატების მიღწევის უზრუნველყოფის ერთადერთ გზად მოიაზრებოდა. ამგვარი ვარაუდის საშუალებას გვაძლევს ამ თავში მოყვანილი ხარისხობრივი კვლევის შედეგები და, ასევე, კვლევაში ჩართულ მოსწავლეთა პასუხები კითხვაზე: „რატომ ემზადებით რეპეტიტორთან“.

მეტიც, კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად მიღებული მასალა ადასტურებს, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში კერძო რეპეტიტორობა ასოცირდებოდა ოჯახის ეკონომიკურ სტატუსთან და მოსწავლის მაღალი აკადემიური მოსწრების სიმბოლოდ აღიქმებოდა. საშუალო სკოლის მოსწავლეები ტრახობენ თავიანთ თანატოლებთან კერძო მასწავლებლების რაოდენობით, მშობლები ქირაობენ რეპეტიტორებს იმისათვის, რომ მათ დახმარება გაუწიონ ბავშვებს საშინაო დავალების მომზადებაში. ეს გარემო, რა თქმა უნდა, სერიოზულ ზეგავლენას ახდენს სასკოლო პროცესზე, რადგან ასეთი მოსწავლეები სასკოლო გაკვეთილებს სერიოზულად აღარ აღიქვამენ და ფიქრობენ, რომ ხარისხიან განათლებას მხოლოდ კერძო რეპეტიტორთან მომზადების საშუალებით მიიღებენ.

სახელმწიფო ფაქტორები

საქართველოში, კერძო რეპეტიტორობის შემამწვოთებელი მასშტაბი განათლების სისტემაში არსებულ კომპლექსურ პრობლემებზე მიუთითებს. ის სერიოზულ სოციალურ, ეკონომიკურ და ეთიკურ საკითხებსაც წამოჭრის.

საკითხის სიმწვავეს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: ა) მასწავლებლის ანაზღაურება საკმაოდ დაბალია და მას, ამ მომენტისთვის, დამატებითი შემოსავლის გარეშე არსებობა არ შეუძლია. ბ) მშობლები კერძო რეპეტიტორობას ზოგადი განათლების დაბალი ხარისხის კომპენსირების ერთადერთ გზად აღიქვამენ.

ხელისუფლებისათვის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს განათლების მაღალი ხარისხისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ზომები, რომლებიც უნდა გატარდეს რეპეტიტორობის საკითხთან დაკავშირებით, ამ მიზნების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს.

კვლევის შედეგები


რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, ამ ნაწილში განხილულია კერძო რეპეტიტორობის მახასიათებლები, მასზე მოთხოვნის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები და განათლების სისტემაზე კერძო რეპეტიტორობის გავლენის საგანმანათლებლო, სოციალური და ეკონომიკური ასპექტები.

კერძო რეპეტიტორობის ზოგადი მახასიათებლები

უნივერსიტეტის სტუდენტების შერჩევიდან რესპოდენტთა თითქმის 4/5 (79,7%) აღნიშნავს, რომ მიმართავდა კერძო რეპეტიტორებთან მომზადების რაიმე ფორმას. ყველაზე გავრცელებული ფორმებია: ინდივიდუალური გაკვეთილები ან მეცადინეობები მცირე ჯგუფებში. დიაგრამაზე № 1 ნაჩვენებია, რომ გამოკითხული სტუდენტების 66,1 % კერძო მასწავლებელთან ემზადებოდა, 3,5% კი უმაღლესი სასწავლებლების მიერ შეთავაზებულ მოსამზადებელ კურსებს ესწრებოდა. ფოკუს ჯგუფის ინტერვიუებზე გამოკითხული სტუდენტები ამის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად იმას ასახელებენ, რომ კერძო გაკვეთილები, მოსამზადებელ კურსებთან შედარებით, უფრო საფუძვლიანი ცოდნის მიღების საშუალებას იძლევა. სტუდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ კერძო რეპეტიტორთა დიდი ნაწილი მისაღები გამოცდების კომისიის წევრია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსამზადებელი კურსები საქართველოში ფართოდ გავრცელებული არ არის და კერძო რეპეტიტორთან მომზადება, ისტორიულად, ყოველთვის უფრო პროკულარული იყო საქართველოში, ვიდრე - მოსამზადებელი კურსები.

გამოკითხულ სტუდენტთა 10 % მიმართავდა როგორც კერძო გაკვეთილებს, ასევე მოსამზადებელ კურსებს. შერჩევაში საშუალო სკოლის მოსწავლეთა 53,4 % საერთო სასკოლო განთლებასთან ერთად მიმართავდა კერძო რეპეტიტორებთან მომზადებას. 46,6 % აღნიშნავდა, რომ კერძოდ არ ემზადებოდა, საიდანაც 23,4 % ამას მომსახურების სიძვირით ასაბუთებდა.

დიაგრამა 1. საქართველოში კერძო მომზადების სპექტრი და გამოვლინება (უნივერსიტეტის სტუდენტების შერჩევა)



კერძო გაკვეთილებისა და მოსამზადებელი კურსების ჯგუფების ზომა

უნივერსიტეტის სტუდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ინდივიდუალურად (38.9%), ან ორ-სამკაციან ჯგუფებში (31.9%) ემზადებოდა. დაახლოებით 15% ემზადებოდა ოთხ-ხუთკაციან ჯგუფებში, ხოლო 14% -ისეთ ჯგუფებში, რომელთა ზომა 5 ადამიანს აღემატებოდა. საშუალო სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის მონაცემებმა ასევე აჩვენა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა ინდივიდუალურად ემზადებოდა, მათ შორის უცხო ენებში - 64.7%, მათემატიკაში - 53.6%, ქართულ ენასა და ლიტერატურაში - 38%. რესპოდენტთა მხოლოდ მცირე პროცენტი ემზადებოდა ჯგუფებში, რომელთა ზომა ოთხ ადამიანს აღემატებოდა, მათ შორის 4.7% - უცხო ენებში, 2.4% - მათემატიკაში და 5.4%- ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ტიპურად, მასწავლებლები გაკვეთილებს საკუთარ სახლში ან მოსწავლეთა სახლში ატარებენ.

მოსამზადებელი კურსების ჯგუფების ზომა ვარირებს. უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის, 26.8% აღნიშნავს, რომ მათ ჯგუფში 4 ან ნაკლები აბიტურიენტი იყო, 40.2 % - 6 - 15 აბიტურიენტი, ხოლო 27.8 % - 16- 30 აბიტურიენტი.

აკადემიური საგნები

გამოკითხულ სტუდენტთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ კერძოდ ემზადებოდა ერთ (30.6%) ან ორ (21.5%) საგანში. სტუდენტთა დაახლოებით 24% რეპეტიტორთან სამ საგანში ემზადებოდა. საშუალო სკოლის მოსწავლეთა 33% რეპეტიტორთან ერთ საგანში ემზადებოდა, 41% - ორ საგანში. იგივე სიტუაცია დაფიქსირდა მოსამზადებელ კურსებთან დაკავშირებით - 49.1 % აღნიშნავს, რომ ერთ საგანში ემზადებოდა, ხოლო 23.1% - ორ საგანში ემზადებოდა.

კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ კერძო რეპეტიტორობა, ძირითადად, გამოცდებზეა ორიენტირებული. ორივე შერჩევაში საგნის არჩევანი ემთხვეოდა მისაღებ გამოცდებზე ჩასაბარებელ საგნებს. უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა საქართველოში მისაღებ გამოცდებზე ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენის, ისტორიისა და მათემატიკის გამოცდებს ნიშნავდა. გამოკითხულ სტუდენტთა პასუხების თანახმად, ყველაზე გავრცელებული საგნები, რომლებშიც აბიტურიენტები რეპეტიტორთან ემზადებიან არის მათემატიკა (45.4%), უცხო ენა (34.4%), მშობლიური ენა (31.2%), და ისტორია (20.1%). სკოლის შერჩევამ მსგავსი მონაცემები მოგვცა, სადაც მოსწავლეთა 50% რეპეტიტორთან ქართულ ენაში ემზადება, 50.3% - უცხო ენაში, 52.3 % - მათემატიკაში. სხვა საგნებში კერძო რეპეტიტორობა ნაკლებადაა გავრცელებული, უნივერსიტეტის შერჩევიდან მხოლოდ 6.3% ემზადებოდა ფიზიკაში, 1.7% - ბიოლოგიაში და 1.7% - ქიმიაში.

კერძო რეპეტიტორობის ინტენსივობა

კერძო რეპეტიტორობის ორივე ფორმა - ინდივიდუალური გაკვეთილები და მოსამზადებელი კურსები საკმაოდ ინტენსიურია. უნივერსიტეტის სტუდენტთა 64.7% აღნიშნავს, რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში რეგულარულად ემზადებოდა კერძო რეპეტიტორთან, 17.1 % კი მიუთითებს, რომ რეგულარულად მხოლოდ უკანასკნელი სემესტრის განმავლობაში ემზადებოდა. მოსწავლეთა 40%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ რეპეტიტორთან კვირაში 4 საათზე მეტ დროს ატარებდა, 35.9% - კვირაში სამიდან ოთხ საათამდე, ხოლო 22.6 % - რეპეტიტორთან კვირაში მხოლოდ ორ საათს ემზადებოდა. მოსამზადებელი კურსების მოსწავლეთა უმეტესობა (57.0%) მოსამზადებელ კურსებზე გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი წლით ადრე ჩაირიცხა, 18.4% - გამოცდებამდე 3-6 თვით ადრე, ხოლო 17.5% - გამოცდებამდე ერთი თვით ადრე.

სკოლის შერჩევის მონაცემებმა აჩვენა, რომ სკოლის მოსწავლეებიც რეპეტიტორებთან წლის განმავლობაში რეგულარულად დადიან. მათგან: 95.3% - უცხო ენებში ემზადება, 90.7% - მათემატიკაში, 89.6% - ქართულ ენასა და ლიტერატურაში. სკოლის მოსწავლეთა დაახლოებით 50% უცხო ენებსა და მათემატიკაში რეპეტიტორთან კვირაში არანაკლებ ორი საათისა მეცადინეობს, 42.8% - ქართულ ენასა და ლიტერატურაში კერძო რეპეტიტორთან კვირაში სამოთხე საათს ატარებს. რეპეტიტორთან ერთი გაკვეთილის ხანგრძლივობა საშუალოდ 90 წთ-ს შეადგენს, თუმცა სტუდენტების 24 % აღნიშნავს, რომ მათი გაკვეთილები 120 წუთს გრძელდებოდა.

სკოლის მოსწავლეთა უმეტესობამ კერძო რეპეტიტორთან მომზადება IX-X კლასებიდან დაიწყო. თუმცა, 28% აღნიშნავს, რომ უცხო ენებში მომზადება უფრო ადრე დაიწყო, ძირითადად V-VIII კლასებში. ხარისხობრივი კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ ბევრი მოსწავლე რეპეტიტორთან სიარულს უფრო ადრეც იწყებს, თუმცა რეპეტიტორთან მომზადება უფრო ინტენსიურ სახეს სკოლის დამამათურებელ კლასებში იძენს.

მიმწოდებლები: ვინ სთავაზობს კერძო რეპეტიტორობას და რატომ?

უნივერსიტეტის პროფესორებზე, როგორც რეპეტიტორებზე, მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალია. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბევრი პროფესორი და ლექტორი მისაღები კომისიის წევრია. ითვლება, რომ მათ იციან მისაღები გამოცდების სპეციფიკა და შინაარსი. კვლევის თანახმად, რესპოდენტების 29.6% სწორედ უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებთან ემზადება, 24.8% - დახმარებისთვის სფეროს პროფესიონალებს მიმართავს, 19.3% - კლასის მასწავლებლებს, ხოლო 16.3 % - საკუთარი სკოლის პედაგოგებს. იმ სტუდენტების 64%-ს, ვინც მოსამზადებელ კურსებზე დადიოდა, უნივერსიტეტის პროფესორები ასწავლიდნენ, ხოლო დაახლოებით 17.5%-ს - სფეროს სპეციალისტები ან საშუალო სკოლის პედაგოგები. საშუალო სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპოდენტთა 40 %-ის რეპეტიტორები უნივერსიტეტის პროფესორები იყვნენ.

მომხამრებლები: ვინ სარგებლობს კერძო რეპეტიტორის მომსახურებით და რატომ?

გენდერულმა ანალიზმა აჩვენა, რომ კერძო რეპეტიტორებთან გოგონების უმნიშვნელოდ მეტი რაოდენობა ემზადება, ვიდრე – ბიჭებისა. შერჩევის მიხედვით, რეპეტიტორებთან მომზადებულ მოსწავლეთა 57 % მდებარეობითი სქესისაა, ხოლო 43 % – მამრობითი სქესის. გეორგაფიულად, კერძო რეპეტიტორთან მომზადებულ რესპოდენტთა 60% ქალაქში ცხოვრობს. ამას შეიძლება ისიც განაპირობებს, რომ ქალაქში კონკურენცია მეტია. გარდა ამისა, ქალაქში მეტია მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის ოჯახები, ვისაც შეუძლია კერძო რეპეტიტორის დაქირავება (Bray, 2003).

უმაღლესი განათლების დაფინანსება საქართველოში ორი ძირითადი წყაროდან ხდება: კერძო და სახელმწიფო სექტორიდან. გამოკითხულ რესპოდენტთა 60% უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საფასურს სახელმწიფოსაგან იღებდა, მაშინ როდესაც 40 % - საკუთარი დაფინანსებით სწავლობდა. გამოკითხულ აბიტურიენტთა 80 % აღნიშნავდა, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ადგილზე მოხვედრა სურდა. უნივერსიტეტის სტუდენტთა ნახევარი უმაღლეს სასწავლებელში პირველივე ცდით ჩაირიცხა, დანარჩენი ნაწილის მესამედი, რომელთათვისაც ეს პირველი ცდა არ იყო, იმავე ფაკულტეტზე ჩაირიცხნენ, სადაც პირველად აბარებდნენ, გამოკითხულთა მხოლოდ 17% ვერ მოხვდა სასურველ ფაკულტეტზე.

გამოკითხულ სტუდენტთა უმეტესობა (57.9 %) მაღალი კონკურენციის პირობებში ჩაირიცხა (ეკონომიკა, მენეჯმენტი და სამართალი). კერძო რეპეტიტორობა, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასეთ ფაკულტეტებზე მოსახვედრად. გამოკითხულთა ორი მესამედი თვლის, რომ კერძო რეპეტიტორთან მომზადებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მისაღებ გამოცდებში მათ მიერ მიღებულ შედეგებზე. თუმცა, მისაღები გამოცდები მოსწავლეების კერძო რეპეტიტორებთან მომზადების მოტივაციის განმაპირობებელი მხოლოდ ერთი მიზეზია.

ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ კერძო რეპეტიტორებზე მოთხოვნის არსებობას

საქართველოს კონტექსტში, კერძო რეპეტიტორობის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზები უმაღლესში მისაღებ გამოცდებზე მაღალ კონკურენციასა და საშუალო განათლების დაბალ ხარისხს უკავშირდება. სოციალური ფაქტორები, როგორცაა მშობლების ან თანატოლების გავლენა, ნაკლებად მოქმედებს მოსწავლეთა

გადაწყვეტილებაზე. როგორც გვიჩვენებს ცხრილი № 1, უმაღლესში მისაღებ გამოცდებზე მაღალი კონკურენცია ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, რის გამოც მოსწავლეები რეპეტიტორებთან ემზადებიან. გარდა ამისა, ბევრ სტუდენტს სურს შეავსოს დეფიციტი საკუთარ ცოდნაში; გაიხსენოს უკვე ნასწავლი მასალა და მოახდინოს მისი სისტემატიზაცია; ასევე, უფრო სრულყოფილად შეისწავლოს საგნები, რომლებიც სკოლაში ისწავლება.

ცხრილი № 1 მიზეზები, რომელთა გამო საქართველოში კერძო რეპეტიტორს მიმართავენ

მიზეზები, რის გამოც მიმართავენ კერძო რეპეტიტორს	უნივერსიტეტის შერჩევა (%)	სკოლის შერჩევა (%)		
		ენები	მათემატიკა	ლიტერატურა
უფრო სრულყოფილად შევისწავლო საგნები, რომლებიც სკოლაშიც ისწავლება	16	4.3	11.4	6.2
გავიხსენო და სისტემატიზაცია მოვახდინო უკვე ნასწავლი მასალისა	24.1	3.8	3.3	0.8
შევაავსო დეფიციტი საკუთარ ცოდნაში	38.8	57	34.2	28.8
მისაღები გამოცდებისთვის უკეთ მომზადება	61.5	26.2	41	55.6
მშობლებმა მირჩიეს რეპეტიტორთან მომზადება	0.5	0.8	1.2	0
სხვა მოსწავლეები ემზადებიან და მეც ამიტომ გადავწყვიტე	0.3	0	0	0

კერძო რეპეტიტორობა და უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები

კერძო რეპეტიტორობასთან უნივერსიტეტის მისაღები გამოცდების კავშირი უფრო ფართო ტენდენციის ნაწილია, რაც იმას გულისხმობს, რომ უნივერსიტეტის გამოცდები კერძო რეპეტიტორობაში ინვესტირებას უწყობს ხელს. გამოკითხული სტუდენტებიც იზიარებენ მოსაზრებას, რომ საქართველოში რეპეტიტორობა მიზნად ისახავს მოსწავლის მომზადებას უნივერსიტეტში მისაღები გამოცდებისათვის. როგორც გვიჩვენებს ცხრილი № 2, სტუდენტების უმრავლესობას სჯეროდა, რომ რეპეტიტორთან მომზადება გაზრდიდა მათი უნივერსიტეტში მოხვედრის შანსს (83.4 % უნივერსიტეტის შერჩევაში და 73 % სკოლის შერჩევაში) და რომ კერძო მომზადება ერთადერთი გზა იყო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად (58.3 % უნივერსიტეტის შერჩევაში და 53 % სკოლის შერჩევაში). მეტიც, რესპოდენტთა უმეტესობას

სჯეროდა, რომ ერთნაირი შესაძლებლობების მქონე აბიტურიენტებში, უნივერსიტეტში მოხვედრის მეტი შანსი ჰქონდათ მათ, ვინც კერძო რეპეტიტორთან ემზადებოდა. (62.3 % უნივერსიტეტის შერჩევაში და 61 % სკოლის შერჩევაში). მნიშვნელოვანია, რომ კერძო რეპეტიტორთან მომზადება სახელმწიფო დაფინანსების მიღების წინაპირობად ითვლება (ასეთი დაფინანსება მხოლოდ 60 %-მა მიიღო).

სტუდენტების ნაწილმა ინტერვიუებში აღნიშნა, რომ უმაღლესი განათლებისათვის ოთხი ან მეტი წლის განმავლობაში სწავლების საფასურის გადახდას კერძო რეპეტიტორთან ერთი ან ორი წლის განმავლობაში მომზადება და სახელმწიფო დაფინანსების მოპოვება ერჩია.

ცხრილი № 2 კერძო რეპეტიტორობის სტუდენტებისეული აღქმა

კითხვები	ეთანხმება	
	უნივერსიტეტის შერჩევა	სკოლის შერჩევა
კერძო მომზადება ერთადერთი გზაა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად	58.3	53
რეპეტიტორთან მომზადება გაზრდის უნივერსიტეტში მოხვედრის შანსს	83.4	73.1
ერთნაირი შესაძლებლობების მქონე აბიტურიენტებში უნივერსიტეტში მოხვედრის მეტი შანსი აქვს მათ, ვინც კერძო რეპეტიტორთან ემზადებოდა, იმათთან შედარებით, ვინ არ ემზადება	62.3	61.2

კერძო რეპეტიტორობა და ზოგადი სასკოლო განათლების ხარისხი

ზოგადი სასკოლო განათლების დაბალი ხარისხი კერძო რეპეტიტორებთან მომზადების განმაპირობებელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მართლაც, სკოლის მოსწავლეთა 48 % აღნიშნავს, რომ „სკოლაში სწავლების დაბალი ხარისხი ძირითადი მიზეზია, რის გამოც ისინი კერძო რეპეტიტორებთან ემზადებიან“. მეტიც, მოსწავლეთა 41 % დაეთანხმა აზრს, რომ „მოსწავლეები კერძო რეპეტიტორებთან დადიან იმიტომ, რომ სკოლაში მასწავლებლები მასაღას სათანადოდ არ ასწავლიან“. უნივერსიტეტის შერჩევაში 56.8 პროცენტმა და სკოლის შერჩევაში 55 პროცენტმა აღნიშნა, რომ კერძო რეპეტიტორთან ემზადებიან იმიტომ, რომ „მეტის სწავლა სურთ“.

ზოგადი სასკოლო განათლების დაბალი ხარისხი, როგორც კერძო რეპეტიტორებთან მომზადების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, ასევე ფოკუს ჯგუფის მონაწილე მოსწავლეთა მიერაც აღინიშნა. სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სკოლებში კლასები ძირითადად დიდია (40 მოსწავლემდე), რის გამოც მასწავლებლი სათანადო ყურადღებას ვერ უთმობს თითოეულ მოსწავლეს. ზოგჯერ მასწავლებლები მხოლოდ „ძლიერ“ მოსწავლეებზე აკეთებენ აქცენტს და არ ცდილობენ საშუალო და დაბალი მოსწრების მოსწავლეთა გაკვეთილის პროცესში ჩართვასა და მოტივირებას. კერძო რეპეტიტორებთან არსებული სასწავლო გარემო ძალიან განსხვავდება კლასში არსებული სასწავლო გარემოსაგან – მეტი ყურადღება ეთმობა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს და, შესაბამისად, შედეგიც უკეთესია. ფოკუს ჯგუფის ინტერვიუებმა ასევე ცხადყო, რომ სკოლებში დეფიციტურია ადეკვატური სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალა, არსებობს ზოგადი მოსაზრება, რომ მასწავლებლები არაკომპეტენტურნი არიან. „მე არაფერი მომწონს სკოლაში“ აღნიშნა ერთმა მოსწავლემ. „სახელმძღვანელოებიც უვარგისია და გაკვეთილებიც - მოსაწყენი“. თუმცა, მოსწავლეებმა ასევე აღნიშნეს, რომ მასწავლებლებს ძალიან ცუდი ფინანსური მდგომარეობა აქვთ: „რამდენადაც მე მესმის, მასწავლებლებს არ აქვთ საკმარისი ანაზღაურება, ან რაიმე სხვა სარგებელი და ამიტომაც არ არიან მოტივირებულნი, რომ ბოლომდე დაიხარჯონ სკოლაში“

კერძო რეპეტიტორობის გავლენა

კერძო რეპეტიტორობას, როგორც მრავალსახოვან და კომპლექსურ ფენომენს თავისი პოზიტიური და ნეგატიური ეფექტები აქვს. ერთის მხრივ, კერძო რეპეტიტორობას საკმაოდ დიდი წვლილი შეაქვს ადამიანური კაპიტალის ფორმირებაში, იგი დამატებით შემოსავლებს წარმოქმნის დაბალი ანაზღაურების მქონე პედაგოგებისათვის და მოსწავლეთა/თინეიჯერების თავისუფალი დროის შევსების ერთ-ერთ კარგ ხერხს წარმოადგენს. მეორეს მხრივ, კერძო რეპეტიტორობა აღრმაავებს სოციალურ უთანასწორობას, ზრდის მოსწავლეთა და მასწავლებელთა დამატებით დატვირთვას და, ზოგადად, ზიანს აყენებს სასკოლო განათლებას. ეს ნაწილი მიმოიხილავს კერძო რეპეტიტორობის მხოლოდ ნეგატიურ ეფექტს, რადგან საქართველოში ის უფრო თვალსაჩინოა.

კერძო რეპეტიტორობა და უთანასწორობა

კერძო რეპეტიტორობის მასშტაბის ფორმირებას, ნაწილობრივ, ოჯახების სოციო-ეკონომიკური სტატუსი განაპირობებს. უნივერსიტეტისა და სასკოლო შერჩევების მონაცემების მიხედვით, კერძო რეპეტიტორთან მომზადება ნაკლებად ხელმისაწვდომია იმ მოსწავლეთათვის, რომელთა მშობლებს არ აქვთ უმაღლესი განათლება. როგორც ნაჩვენებია ცხრილში №3, რაც უფრო მაღალია მშობელთა განათლება, მით მეტია იმის ალბათობაც, რომ მათი შვილები კერძო რეპეტიტორთან ემზადებიან. მაგალითად, იმ მოსწავლეთა 70 %, ვინც კერძო რეპეტიტორებთან ემზადება, აღნიშნავს, რომ მათ მშობლებს უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული, მაშინ როდესაც მხოლოდ 2.7 % აღნიშნავს, რომ მათ მშობლებს საბაზო ან დაწყებითი განათლება აქვთ მიღებული.

კავშირი ოჯახის სოციო - ეკონომიკურ სტატუსსა და რეპეტიტორების მომსახურების გამოყენებასთან მსგავსია სკოლის შერჩევაშიც - რაც უფრო მაღალია მშობელთა განათლების დონე, მით მეტია მათი შვილების რეპეტიტორებთან მომზადების ალბათობა. იმ მოსწავლეებში, რომლებიც რეპეტიტორთან ემზადებიან, დაახლოებით 82.9 პროცენტის მშობლებს უმაღლესი განათლება აქვს, მხოლოდ 2.3 პროცენტს - საშუალო, და 0.5 პროცენტს - დაწყებითი ან საბაზო. იმ მოსწავლეთა მშობლები, რომლებსაც არ აქვთ უმაღლესი განათლება, არაკვალიფიციური მუშაკები, ან უმუშევარი არიან, ნაკლებ ინვესტიციას ახდენენ საკუთარი შვილების რეპეტიტორთან მომზადებაში. სტუდენტების მიერ საკუთარი ოჯახების სტატუსის შეფასების შესაბამისად, კერძო მომზადებაში, დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების მოსწავლეების მხოლოდ 6 პროცენტი იხდის 300 ლარზე (USD 166) მეტს. ძვირადღირებული რეპეტიტორები ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში მუშაობენ, შესაბამისად ასეთი მომზადება უფრო მეტადაა მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ასეთი ტიპის რეპეტიტორები უფრო ხელმისაწვდომია მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის, რაც შესაძლოა კიდევ უფრო აღრმავებდეს სოციალურ უთანასწორობას.

ცხრილი № 3 კერძო რეპეტიტორებთან მომზადების მაჩვენებლები ოჯახის სოციოეკონომიკური სტატუსის მიხედვით, უნივერსიტეტის შერჩევა, საქართველო

მშობელთა განათლება და დასაქმება	კერძო რეპეტიტორებთან მომზადების მაჩვენებლები (%)	წლის განმავლობაში 300 ლარზე მეტის გადახდის მაჩვენებლები (%)
<i>დედის განათლება</i>		
უმაღლესი	72.2	80.5
საშუალო	25.7	17.8

დაწვევებითი ან უფრო დაბალი	2.2	1.6
სულ	100	100
<i>მამის განათლება</i>		
უმაღლესი	69.2	81
საშუალო	28	17.4
დაწვევებითი ან უფრო დაბალი	2.8	1.6
სულ	100	100
<i>დედის დასაქმება</i>		
პროფესიონალი, მენეჯერი, ბიზნესის მფლობელი, კვალიფიციური მუშაკი	68.5	76
არაკვალიფიციური მუშაკი, დაუსაქმებელი	31.5	24
სულ	100	100
<i>მამის დასაქმება</i>		
პროფესიონალი, მენეჯერი, ბიზნესის მფლობელი, კვალიფიციური მუშაკი	81.3	81.7
არაკვალიფიციური მუშაკი, დაუსაქმებელი	18.7	18.3
სულ	100	100

მოსწავლეები, რომლებიც რაიმე ფორმით ემზადებიან რეპეტიტორთან, მათი სუბიექტური შეფასების თანახმად, ძირითადად, საშუალო ან საშუალოზე მაღალი ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახების წარმომადგენლები არიან. კერძოდ, 80 % აღნიშნავდა, რომ მათი ოჯახის ეკონომიკური სტატუსი საშუალოა, 14 % აღნიშნავდა, რომ ოჯახს კარგი შემოსავალი აქვს, და მხოლოდ 2 % აღნიშნავდა, რომ ოჯახს ძალიან კარგი შემოსავალი აქვს. მხოლოდ 3 % აღნიშნავდა, რომ მათი ოჯახი ღარიბია ან ძალიან ღარიბი (1 %).

ძვირადღირებული რეპეტიტორები, რომლებიც ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში მუშაობენ, უფრო ხშირად, მაღალი ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახების მოსწავლეთათვისაა ხელმისაწვდომი. (იხ. ცხრილი № 4). ამასთან ერთად, მონაცემებმა დაადასტურა, რომ კერძო რეპეტიტორობა ხელს უწყობს უთანასწორობის გაღრმავებას. კერძო რეპეტიტორთან მომზადება ასოცირდება მაღალ აკადემიურ მოსწრებასთან, უნივერსიტეტში ჩარიცხვასა და შესაბამისად, სასურველ სამუშაო ბაზარზე დასაქმებასთან. კერძო რეპეტიტორის სიძვირე და არათანაბარი ხელმისაწვდომობა ამ ფენომენს სოციალური უთანასწორობის შენარჩუნებისა და შესაძლოა, კიდევ უფრო გაღრმავების მექანიზმად წარმოაჩენს.

ცხრილი № 4 კერძო რეპეტიტორებთან მომზადების მაჩვენებლები მოსწავლის მიერ აღქმული ოჯახის სოციოეკონომიკური სტატუსის მიხედვით, უნივერსიტეტის შერჩევა

ოჯახის სტატუსის აღქმა	კერძო რეპეტიტორებთან მომზადების მაჩვენებლები (%)	წლის განმავლობაში 300 ლარზე მეტის გადახდის მაჩვენებლები (%)
კარგი	18.8	21.9
საშუალო	69	72.2
ცუდი	12.1	5.9
სულ	100	100

კერძო რეპეტიტორობა და ზოგადი სასკოლო განათლება

კერძო რეპეტიტორობა, აგრეთვე, ნეგატიურ გავლენას ახდენს ზოგად სასკოლო პროცესებზე. კერძო რეპეტიტორების გაკვეთილებიცა და მოსამზადებელი კურსებიც საკმაოდ ინტენსიურია. რესპოდენტთა 40 % აღნიშნავს, რომ რეპეტიტორებთან კვირაში ოთხ საათზე მეტს ატარებს. მეტიც, 64.7 % აღნიშნავს, რომ რეპეტიტორებთან მთელი სასწავლო წლის განმავლობაში რეგულარულად ემზადება. კერძო მომზადების ასეთი ინტენსივობა ცუდ ზეგავლენას ახდენს ზოგად სასკოლო პროცესზე. პირველ რიგში, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს რეგულარული გაცდენები დამამთავრებელ კლასებში. მოსწავლეებს სკოლის დამამთავრებელი ატესტატის მიღება სავალდებულო საათების გავლის (გაკვეთილებზე დასწრების) გარეშეც შეუძლიათ. ინტერვიუებში ბევრმა მოსწავლემ აღნიშნა, რომ დამამთავრებელ კლასებში იშვიათად ესწრებოდა გაკვეთილებს და, უფრო მეტად, მისაღები გამოცდებისათვის მომზადებაზე იყო ფოკუსირებული. ისინი შეუთანხმდებოდნენ მასწავლებლებს და მხოლოდ საბოლოო ტესტირებაზე გამოცხადდებოდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ნიშნებს სასკოლო პროცესში მონაწილეობისა და ჩართულობის გარეშე იღებდნენ. ასეთი გარიგებები იმ მოსაზრებით კეთდებოდა, რომ მოსწავლეებს დამატებითი დრო ესაჭიროებოდათ მისაღები გამოცდებისთვის რეპეტიტორებთან მოსამზადებლად. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიდგომა ოფიციალურად დაშვებული არ არის, დღესდღეობით, ეს რეალობაა.

ასეთი დამოკიდებულება მშობელთა და მოსწავლეთა მხრიდან ზოგადი სასკოლო განათლების დაბალ შეფასებას უკავშირდება, რაც გულისხმობს, რომ მათი აზრით, საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ბევრმა მოსწავლემ

„სასკოლო პროგრამა ზედმეტად იოლია და მე კი მისაღები გამოცდებისთვის მომზადება მჭირდებოდა, რაც გაცილებით ღრმა და საფუძვლიან ცოდნას ითხოვს“ (ინტერვიუებული მოსწავლე)

აღნიშნა, რომ, მათი რწმენით, სკოლა ვერ უზრუნველყოფს განთლების სათანადო ხარისხს მისაღები გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ისინი არ დადიოდნენ სკოლაში იმიტომ, რომ „ამისთვის დრო არ ჰქონდათ“, ან „ძალიან დაკავებულნი იყვნენ კერძო რეპეტიტორებთან მომზადებით“. ინტერვიუების დროს მოსწავლეები შემდეგ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ: „მე არ მჭირდებოდა სკოლაში სიარული“, „სკოლა ძალიან უინტერესოა“, „გაკვეთილებზე დასწრება დროის ფლანგვა იქნებოდა“. ორივე შერჩევის გამოკითხულ მოსწავლეთა დაახლოებით 44.1 % ეთანხმება გამონათქვამს, რომ „მოსწავლეები ემზადებიან კერძო რეპეტიტორებთან იმიტომ, რომ სასკოლო მასალა სრულად არ მოიცავს იმას, რაც მისაღები გამოცდებზე ბარდება“.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები აჩვენებს, რომ მისაღები გამოცდებისთვის რეპეტიტორებთან მომზადებამ შეიძლება შეაფერხოს ფორმალური სასკოლო პროცესი. თუ მოსწავლეებს სჯერათ, რომ „კარგმა“ მოსწავლეებმა სათანადო განათლება სკოლის გარეთ უნდა მიიღონ, სავარაუდოდ, ისინი ნაკლებად მომზადებულნი და მონდომებულნი იქნებიან გაკვეთილების ხარისხიანად ჩასატარებლად. დღესდღეობით სახეზეა სასკოლო პროგრამის დამახინჯება და ინტენსიური გაცდენები, რაც იმის ნიშანია, რომ ზოგადი სასკოლო განათლების პროცესი კრიზისშია.

კერძო რეპეტიტორობა და კორუფცია

შესაძლოა, ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ კერძო რეპეტიტორობა უშუალოდ უკავშირდება კორუფციასა და რეპეტიტორების არაეთიკურ ქცევას. კვლევის მიხედვით, მოსწავლეთა უმეტესობა უნივერსიტეტის პროფესორებთან ემზადება, რაც განპირობებულია იმ მოლოდინით, რომ პროფესორები მეტად იცნობენ მისაღები გამოცდების სპეციფიკას და, ზოგჯერ, ისინი მისაღები კომისიის წევრებიც არიან. ასეთი პროფესორების მომსახურება განსაკუთრებით ძვირია, რადგან მათ შეუძლიათ საკუთარი სტატუსის გამოყენება კონკრეტულ მოსწავლეთა სასარგებლოდ. დაკვირვებები არა მარტო ეთიკურ ეჭვებს აღძრავს, არამედ აბიტურიენტებისთვის არათანაბარი პირობების არსებობაზეც მიგვანიშნებს.

კერძო მომზადება საშუალო სკოლის პირობებშიც წარმოქმნის ეთიკურ პრობლემებს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უნივერსიტეტის შერჩევის

მონაცემებით, 19.3 % კერძო რეპეტიტორად საკუთარი კლასის მასწავლებელს ირჩევს. ასეთი მოსწავლეების პროცენტი სკოლის შერჩევაში კიდევ უფრო მაღალია (20.3 % - ქართულ ენაში და 13.2 % - მათემატიკაში), რაც მოსწავლეებმა ფოკუს ჯგუფებში ჩატარებული ინტერვიუს დროსაც დაადასტურეს. მასწავლებლები დამატებით ანაზღაურებას იღებენ იმ საქმეში, რაშიც ისედაც ეკუთვნით ხელფასი. გარდა ამისა, საკუთარ სტატუსსა და ავტორიტეტს იმისათვის იყენებენ, რომ გაეღწეონ მოახდინონ მოსწავლეებზე და დაარწმუნონ, რომ საკლასო მეცადინეობისათვის განკუთვნილი დრო არ არის საკმარისი საგნის შესასწავლად და საჭიროა დამატებითი მეცადინეობები. გარდა ეთიკური მოსაზრებებისა, ეს არათანაბარ და არასახარბიელო პირობებში აყენებს იმ მოსწავლეებს, რომლებიც არ ემზადებიან ამ პედაგოგთან. ინტერვიუების დროს მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებლები ხშირად ნაკლებ დროს უთმობენ გაკვეთილზე მასალის ახსნას, რადგან თვლიან, რომ მოსწავლეთა უმეტესობა ისედაც ემზადება რეპეტიტორთან. უნივერსიტეტის სტუდენტებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ინტერვიუებზე აღინიშნა, რომ მასწავლებლები კლასში უპირატესობას საკუთარ „კერძო“ მოსწავლეებს ანიჭებენ.

დასკვნები და რეკომენდაციები

კერძოდ მომზადების პრობლემას სათანადო ყურადღება არ ექცევა განათლების პოლიტიკაში - ხელისუფლება ჯერ-ჯერობით არ გამოხატავს ოფიციალურ პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით. კერძო მომზადება უკავშირდება სხვა რთულ პრობლემებს - ზოგადი სასკოლო განათლების დაბალ ხარისხსა და მასწავლებელთა მძიმე სოციო-ეკონომიკურ პირობებს. შესაბამისად, კერძო მომზადებასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილება, სახელმწიფოს მხრიდან მტკივნეული საკითხების ხაზგასმასა და მათ საჯაროდ აღიარებას მოითხოვს.

საქართველოს განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში გატარდა რამდენიმე ინიციატივა, რომელიც კერძო რეპეტიტორობის ფენომენზეც უნდა აისახოს. მაგალითად, უნივერსიტეტის მისაღები გამოცდების პოლიტიკა შეიცვალა - 2005/06 წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამთავრებელი კლასების მოსწავლეები უმაღლესში ჩაბარებას მხოლოდ ცენტრალიზებული ეროვნული გამოცდების საფუძველზე შეძლებენ. შეუძლებელია ამ ცვლილების ზუსტი შედეგებისა და კერძო რეპეტიტორობაზე მისი უშუალო გავლენის პროგნოზირება. რადგან საქართველო გამოცდების ახალ ცენტრალიზებულ სისტემაზე გადავიდა, საინტერესო იქნება კერძო რეპეტიტორობის მასშტაბისა და სხვა მახასიათებლების ცვლილებების მონიტორინგი – დინამიკის შესწავლა.

ფენომენის მართვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებაა. ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს რეფორმა ზოგადი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. (მაგ: საგნობრივი სასწავლო გეგმებისა და სასწავლო მასალების შემუშავებისა და, ასევე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით, აგრეთვე უნდა გაიზარდოს მასწავლებელთა ანაზღაურება).

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების პარალელურად, ხელისუფლებამ და სამოქალაქო საზოგადოებამ კერძო რეპეტიტორობასთან დაკავშირებით გამართულ დებატებსა და დისკუსიებში ფართო საზოგადოების მონაწილეობა უნდა უზრუნველყოს.

ეს ხელს შეუწყობს კერძო რეპეტიტორობისადმი მშობელთა და მოსწავლეთა დამოკიდებულების შეცვლას, რადგან, სავარაუდოდ, ისინი გააცნობიერებენ, რომ

კერძო რეპეტიტორობა ხარისხიანი განათლების მიღების ერთადერთი გზა არ არის. თუმცა, ამის მიღწევა საკმაოდ ძნელი იქნება მანამ, სანამ ზოგადი სასკოლო განათლების ხარისხი სათანადოდ არ გამოსწორდება და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიერ მიწოდებული ცოდნა და უნარ-ჩვევები არ იქნება საკმარისი უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებლად.

საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, კერძო რეპეტიტორობის თემაზე მუშაობა ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვან მხარდაჭერას მოითხოვს. მეტიც, ნებისმიერი პოლიტიკის განხორციელების შედეგი მხოლოდ ხანგრძლივ პერსპექტივაში იქნება თვალსაჩინო. უფრო ხანმოკლე გადმოსახედიდან, ხელისუფლებამ შესაძლოა გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები:

- *სტრატეგიის შემუშავება კერძო რეპეტიტორობის ნეგატიური ეფექტის შესამცირებლად.* ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს კერძო რეპეტიტორობის საკითხს და იგი რეფორმის გეგმაში ჩასვას; უნდა შემუშავდეს ამ საკითხზე მუშაობის სტრატეგია.
- *დამატებითი კვლევების ჩატარების ხელშეწყობა.* სასურველია, ჩატარდეს ჩაღრმავებული კვლევა, რაც ხელს შეუწყობს საკითხის სრულყოფილ შესწავლასა და გაანალიზებას. მნიშვნელოვანია, კერძო რეპეტიტორობასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება და სისტემატიზაცია სხვადასხვა საფეხურზე არსებული მასშტაბის, მიმწოდებლების, ტიპების, სქესისა და გეორგაფიული განაწილების მიხედვით. მონაცემები რეგულარულად უნდა განახლდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს დინამიკის ანალიზი.
- *რეგულაციების შემუშავება და განხორციელება.* არსებულ კონტექსტში კერძო რეპეტიტორობის სრულად აკრძალვა შეუძლებელია, თუმცა, ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს კერძო რეპეტიტორობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების რეგულირება. ეს შეიძლება მოიცავდეს სკოლის საათებში დამატებითი კერძო მომზადების აკრძალვას, და/ან მასწავლებელთათვის საკუთარი სკოლის კონტინგენტის მოსწავლეთათვის კერძო გაკვეთილების შეთავაზების აკრძალვას.

- *საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.* ამ ფენომენის კომპლექსურობა მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა საკმაოდ მცირე ნაწილს ესმის სწორად. საკუთარი პოლიტიკის გასატარებლად და საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ამ თემაზე დისკუსიის გამართვას.
- *მასწავლებლების წახალისება.* მნიშვნელოვანია სკოლის მასწავლებელთა მოტივაციისა და სკოლისადმი ერთგულების გაზრდა, წახალისების ახალი მექანიზმების დანერგვის გზით. იდეალურ ვარიანტში, ეს უნდა მოიცავდეს როგორც ხელფასების გაზრდას, ასევე პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნას.
- *საშუალო სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.* შესაბამისი ღონისძიებები უნდა გატარდეს სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. ამავე დროს, სწავლება კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე უნდა იყოს მიმართული. უნდა მოხდეს სკოლების წახალისება იმისათვის, რომ მათ გააკეთილებინ შემდეგ საკუთარ მოსწავლეებს დამატებითი მხარდაჭერა შესთავაზონ. ასეთი ძალისხმევა აუცილებელია იმისათვის, რომ მშობლებმა მსგავსი სერვისის მისაღებად სხვა გარე წყაროებს აღარ მიმართონ.
- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასწრების მარეგულირებელი მეცრი პოლიტიკის დანერგვა.* სკოლებმა უნდა გააძლიერონ დასწრების კონტროლის პოლიტიკა, განსაკუთრებით - დამამთავრებელ კლასებში.
- *კერძო რეპეტიტორობის ლეგალიზაცია სპეციალური სარეპეტიტორო ცენტრების ჩამოყალიბების ხელშეწყობის გზით.* სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ასეთი ინსტიტუტები უფრო აადვილებს ხელისუფლების მხრიდან კერძო მომზადების ხარისხისა და ასევე, ამ ინსტიტუტების საქმიანობის კონტროლს.

Bray M. (1999). *The Shadow Education System: Private Tutoring and its Implications for Planners*. Paris: UNESCO International Institute for Education Planning

Duthilleul, Y (1998). *Teachers and teaching practices in Georgia*. New York, NY: The World Bank

Sharvashidze, G (2001). *Structural reforms in higher education: private higher education in Georgia*. Paris: UNESCO International Institute for Education Planning

სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი, (2001) ოჯახების ხარჯების კვლევა, თბილისი, საქართველო

World Bank, The (2001). *Project Appraisal Document: Georgia education system realignment and strengthening program*. Washington, DC: The World Bank

**ბანათლება ჩრდილოვან ბაზარზე:
სამართაშორისო ანგარიში**

*აზერბაიჯანი
ბოსნია და ჰერცეგოვინა
ხორვატია
საქართველო
ლიტვა
მონღოლეთი
პოლონეთი
სლოვაკეთი
უკრაინა*

2006

კერძო რეპეტიტორობის მონიტორინგის პროექტის განხორციელება და ანგარიშის გამოცემა აზერბაიჯანის, საქართველოს, ბოსნიისა და ჰერცეგოვინას, ხორვატიის, ლიტვის, მონღოლეთის, პოლონეთის, სლოვაკეთისა და უკრაინის პროექტის მენეჯერების შეთანხმებული მუშაობის შედეგია. ამ რთული პროექტის რეალიზაცია შეუძლებელი იქნებოდა კვლევაში ჩართული ცხრა ქვეყნის განათლების პოლიტიკის ცენტრების თანამშრომელთა მონდომების გარეშე.

აგრეთვე, დიდი მადლიერებით გვინდა აღვნიშნოთ რესპოდენტთა წვლილიც - ცხრა ქვეყნის პირველკურსელმა სტუდენტებმა, განათლების ადმინისტრაციამ და სხვა გამოკითხულმა პირებმა გულახდილად გაგვიზიარეს საკუთარი შეხედულებები და უშუალო გამოცდილება კერძო რეპეტიტორობის ინსტიტუტთან დაკავშირებით.

პროექტის საერთაშორისო გუნდს იმედი აქვს, რომ კვლევის შედეგები მიიპყრობს განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი პირებისა და მასწავლებლების ყურადღებას ამ მნიშვნელოვანი საკითხისადმი. კერძო რეპეტიტორობის მიზეზებისა და სპექტრის შესახებ საზოგადოების ინფორმირება ხელს შეუწყობს შესაბამისი საგანმანათლებლო პოლიტიკის ეფექტურად გატარებას, რაც, თავისმხრივ, განაპირობებს სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური ფენის მოსწავლეთათვის და შეამცირებს კერძო რეპეტიტორობის მასშტაბებსა და ღირებულებას.

პროექტის მონაწილეები მადლობას ვუხდით:

- ღია საზოგადოების ინსტიტუტის განათლების მხარდამჭერი პროგრამის მენეჯერებს, ღია საზოგადოების ინსტიტუტის ზოგადი განათლების ქვე-საბჭოს წევრებსა და კონსულტანტებს, მათ მიერ გაწეული დახმარების, მხარდამჭერისა და თანადგომისათვის.

- პროექტში ჩართულ კერძო პირებს: ელენა ლენსკაიას, ტომ ალექსანდრს, გიტა შტაინერ-ხამსი, ჟაკ ჰალაკს, მურიელ პოიზონს, ჟანა ჰუტოვას, ლიზა ქვინს, იონ იანგს.

- ქვეყნის ანგარიშების მიმომხილველებს, ადგილობრივი მრგვალი მაგიდების მონაწილეებს, პროექტის პარტნიორებსა და მხარდამჭერებს.

საბოლოოდ, მადლობა გვინდა გადავუხადოთ ღია საზოგადოების ინსტიტუტის განათლების საგრანტო ფონდს RE:FINE-ს, კერძო რეპეტიტორობის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში ინტერესთა დაცვის საერთაშორისო და ადგილობრივი ღონისძიებების დაფინანსებისათვის.

კერძო რეპეტიტორობის მონიტორინგის პროექტის საერთაშორისო გუნდი

წინასიტყვაობა

კერძო რეპეტიტორობა: საზოგადოების განათლება თუ საზოგადოების
სტრატეგიკაციის მამოძრავებელი ძალა

ვირჯინია ბუდიენე,
პროექტის დირექტორი

ლიტვა, ვილნიუსის უნივერსიტეტის განათლების პოლიტიკის ცენტრი

ხარისხიანი საჯარო განათლება გადამწყვეტია ღია, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისათვის, ისევე, როგორც სოციალური თანასწორობისა და მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ქვეყნები, რომლებიც სოციალისტური წყობიდან დემოკრატიულ, საბაზრო სისტემაზე გადადიან, 1990 წლების დასაწყისიდან მუშაობენ თავიანთი განათლების სისტემების გარდაქმნაზე. ამ რეფორმების მიზანი თითოეული ბავშვისთვის ეფექტური, ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემოს შექმნაა. თუმცა, საბაზრო სისტემაზე გადასვლის პროცესში, რიგ შემთხვევებში, რისკის ქვეშ დგება ხარისხიანი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და სოციალური თანასწორობა.

ამ ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რამდენად იმოქმედა კერძო რეპეტიტორობისათვის ღია ბაზრის შექმნამ განათლების სისტემაზე და რამდენად ხელმისაწვდომი გახდა უმაღლესი განათლება იმ ცხრა ქვეყნის მოსახლეობისთვის, რომლებიც სოციალისტურ რეჟიმში ცხოვრობდნენ. ანგარიში წარმოადგენს კვლევის შედეგებს, სადაც გაანალიზებულია კერძო რეპეტიტორობის მასშტაბები, მიზეზები და შედეგები აზერბაიჯანში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, ხორვატიაში, საქართველოში, ლიტვაში, მონღოლეთში, პოლონეთში, სლოვაკეთსა და უკრაინაში. კვლევა წარმოადგენს პირველ მცდელობას, სიღრმისეულად აღიწეროს და შესწავლილ იქნას კერძო რეპეტიტორობის ზოგადი მახასიათებლები, კერძოდ: მასშტაბი, ღირებულება, გეოგრაფიული დაფარვა, კერძო რეპეტიტორობაზე მოთხოვნის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები და, ასევე, კერძო რეპეტიტორობის ეკონომიკური და სოციალური გავლენა განათლების სისტემაზე.

კვლევის ინიციატორი და მხარდამჭერია ღია საზოგადოების ინსტიტუტი, განათლების ხელშემწყობი პროგრამა და მისი განათლების პოლიტიკის ცენტრების ქსელი. კვლევა განხორციელდა «ღია საზოგადოების საგანმანათლებლო მონიტორინგის ინიციატივის» მიერ და გულისხმობდა

- არსებული წყაროების შესწავლას;
- რაოდენობრივ, შედარებით კვლევას/გამოკითხვას უნივერსიტეტის სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით ; და
- ხარისხობრივ კვლევას კერძო რეპეტიტორობის ზრდის ხელშემწყობი გარემოებებისა და კერძო რეპეტიტორობით გამოწვეული შედეგების ანალიზისათვის, გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და სოციო-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

კვლევაში მონაწილე ცხრავე ქვეყნის კვლევითი ჯგუფები ეყრდნობოდნენ კვლევის დიზაინს, რომელიც ვილნიუსის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკის ცენტრმა შეიმუშავა.

გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებში კერძო რეპეტიტორობის თვალშისაცემ ზრდას მრავალი მიზეზი განაპირობებს და, ზოგადად, მიუთითებს ზოგადი განათლების დაბალ ხარისხზე. შესაბამისად, კვლევაში მონაწილე ქვეყნების ის მოსწავლეები, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ძვირადღირებული კერძო რეპეტიტორის მომსახურება, არასახარბიელო მდგომარეობაში არიან, როგორც ცოდნისა და გამოცდილების შექმნის, ასევე უნივერსიტეტებსა თუ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შეზღუდული რაოდენობის ადგილებისთვის დიდი კონკურენციის პირობებში ბრძოლის თვალსაზრისით, რაც ხელს უწყობს სოციალური სტრატეფიკაციის პროცესის გაღრმავებას. ამ კვლევაში მოყვანილი მონაცემები, ანალიზი და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას კერძო მომზადების კუთხით არსებული პოლიტიკის გადახედვის, ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბებისა თუ მიმდინარე პოლიტიკის მონიტორინგის პროცესში. შესაბამისად, ანგარიში გამიზნულია საკანონმდებლო ორგანოებისათვის, განათლების სამინისტროებისათვის, სკოლის ადმინისტრაციისა და გადაწყვეტილების მიმღები სხვა პირებისა თუ უწყებებისათვის.

იმედი გვაქვს, რომ კვლევა აგრეთვე ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას კერძო რეპეტიტორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე,

სტუდენტთა ინტერესების დაცვასა და მათი საჭიროებების უკეთ ასახვას განათლების ეროვნულ პოლიტიკაში.

ანგარიში შედგება საერთაშორისო შედეგების სიღრმისეული შედარებითი მიმოხილვისაგან, ისევე როგორც ცალკეული ქვეყნების ანგარიშებისაგან, რომლებიც განათლების პოლიტიკის ადგილობრივი ცენტრებისა და მათი პარტნიორების მიერ არის მომზადებული. პროექტში მონაწილე თითოეულ ქვეყანაში კერძო რეპეტიტორობის კუთხით მდგომარეობის ანალიზის გარდა, ადგილობრივი ანგარიშები მოიცავს რეკომენდაციებს გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის.

მონიტორინგის პროექტის მონაწილე პარტნიორი ინსტიტუტები საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ღია, კონსტრუქტული, ჯანსაღი და გულახდილი დიალოგის ხელშეწყობას ცდილობენ. შესაბამისად, ეს პროექტი მოიცავს კომუნიკაციისა და ინტერესთა დაცვის ღონისძიებებსაც.

პროექტის ფარგლებში უკვე შედგა ადგილობრივი ანგარიშების განხილვა მონაწილე ქვეყნების ხელისუფლებასა და საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლებთან. მომავალში, ანგარიშის შედეგები ფართო საზოგადოებისა და მედიის განხილვის საგანიც გახდება, რასაც საერთაშორისო და ადგილობრივ დონეებზე ინტერესთა დაცვის ღონისძიებები მოჰყვება. ერთის მხრივ, ჩვენ ვცდილობთ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას კერძო რეპეტიტორობის საკითხთან დაკავშირებით. მეორეს მხრივ, ჩვენი მიზანია ისეთი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობა, რომელიც თავისმხრივ უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას ნებისმიერი სტუდენტისთვის თუ აბიტურიენტისათვის, გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა თუ სოციო-ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად.

ღია საზოგადოების ინსტიტუტისა და განათლების მხარდაჭერის პროგრამის ხელშეწყობით პროექტს ცენტრალური აზიის განათლების პოლიტიკის ცენტრებიც შეუერთდნენ. ყაზახეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის ანგარიშები შექმნის დამატებით მასალას რეგიონების მიხედვით მონაცემთა შედარებისათვის. ასევე იგეგმება ელექტრონული ქსელის ჩამოყალიბება კერძო რეპეტიტორობის საერთაშორისო მონიტორინგისათვის.

კერძო რეპეტიტორობა ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნებში

ივეტა სილოვა, მარკ ბრეი

კერძო რეპეტიტორობას ღრმა ფესვები აქვს ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნებში, თუმცა 1990 წლების დასაწყისში ამ ფენომენმა განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა - კერძო მომზადება ცალკე ინდუსტრიად ჩამოყალიბდა. ამას ადასტურებს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევები. მოსწავლეთა ნახევარზე მეტი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის ბოლო წლის განმავლობაში, აუცილებლად მიმართავს რაიმე სახის კერძო დამატებით მომზადებას. ამ თავში აღწერილია აღნიშნულ ქვეყნებში კერძო რეპეტიტორობის ზოგადი მახასიათებლები, ასევე, ძირითადი მოქმედი პირები კერძო მომზადების ბაზარზე, შესწავლილია კერძო რეპეტიტორობაზე მოთხოვნის გამომწვევი სხვადასხვა ფაქტორები. აქვე საუბარია იმ საგანმანათლებლო და სოციო-ეკონომიკურ გაგენაზე, რომელსაც კერძო რეპეტიტორობა ახდენს განათლების სისტემაზე.

კერძო რეპეტიტორობის ძირითადი მახასიათებლები

მოცემული ნაშრომი შეისწავლის კერძო რეპეტიტორობის მასშტაბს, ტიპებს, ინტენსივობას, აკადემიურ საგნებსა და ღირებულებას. ყველა ეს მახასიათებელი ქვემოთაა განხილული.

მასშტაბი

მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ კვლევის საერთო შერჩევის (შერჩეულ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის) უმეტესი ნაწილი (69%), ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის ბოლო წლის განმავლობაში, რაიმე ფორმით სარგებლობს კერძო მომზადების სერვისით. თუმცა, კერძო მომზადების მასშტაბები მერყეობს ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, საქართველოსა და აზერბაიჯანში ასეთი სტუდენტები შერჩევის 80%-ზე მეტს წარმოადგენდნენ, სლოვაკეთსა და ბალკანებში - 60%-ზე ნაკლებს.

კვლევის მონაცემები გვიჩვენებს, რომ დამატებითი კერძო რეპეტიტორობის ფენომენი სახეზეა კვლევაში მონაწილე ყველა ქვეყანაში, სხვადასხვა

ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად. თუმცა, კერძო რეპეტიტორობა განსაკუთრებულად ფართო მასშტაბს იძენს დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლის მქონე ქვეყნებში. მაგალითად, ოთხ ქვეყანაში, სადაც კერძო მომზადების მაჩვენებლები ყველაზე მაღალია (აზერბაიჯანი, საქართველო, მონღოლეთი და უკრაინა), აღინიშნება ყველაზე დაბალი მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი (ერთ სულზე 1000 აშშ დოლარზე ნაკლები) (იხ. თავი 2). საპირისპიროდ, ქვეყნებში, სადაც კერძო რეპეტიტორობის მაჩვენებლები დაბალია (ხორვატია, ლიტვა, პოლონეთი და სლოვაკეთი), მთლიანი შიდა შემოსავლის მაჩვენებელი შედარებით მაღალია (აღემატება ერთ სულზე 4500 აშშ დოლარს). ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ბოსნია და ჰერცეგოვინა, სადაც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე დაბალია კერძო რეპეტიტორობის მაჩვენებელი (57%) და ასევე დაბალია მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი (ერთ სულზე 1530 აშშ დოლარი). ზოგადად, ეს აღმოჩენები ამტკიცებს, რომ კერძო რეპეტიტორობის ფენომენი უფრო ფართოდ არის გავრცელებული იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური პრობლემებია, რადგან რეპეტიტორობა პედაგოგებისათვის დამატებითი შემოსავლის მიღების წყაროა, და შემოსავლების შევსების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს (ისედაც დაბალი და არარეგულარული შემოსავლების პირობებში). თუმცა, საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს, რადგან კვლევა აგრეთვე ცხადყოფს, რომ კერძო რეპეტიტორობა ასევე ფართოდ არის გავრცელებული ისეთი მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, როგორცაა ჰონგ-კონგი, სამხრეთ კორეა და ტაივანი, სადაც პედაგოგები საკმაოდ კარგ გასამრჯელოს იღებენ.

კერძო რეპეტიტორობის ტიპები


კვლევის ფარგლებში შესწავლილ ქვეყნებში ძირითადად გავრცელებულია კერძო მომზადების ორი ტიპი: კერძო გაკვეთილები რეპეტიტორთან და მოსამზადებელი კურსები.

კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტების 39 % რეპეტიტორთან კერძო გაკვეთილებზე დადის, 13 % - მოსამზადებელ კურსებზე, ხოლო 17% -კერძო მომზადების ორივე ტიპს მიმართავს. კერძო გაკვეთილებს, როგორც წესი, ინდივიდუალური მეცადინეობის სახე აქვს და მოსწავლის ან რეპეტიტორის (მასწავლებელი, უნივერსიტეტის პროფესორი, კონკრეტული სფეროს პროფესიონალი) სახელში ტარდება. კერძო რეპეტიტორის კურსები, ძირითადად, მაგრამ არა აუცილებლად, საკმაოდ გრძელვადიანია და მოსწავლეს ისეთი ახალი საგნების ათვისების

შესაძლებლობას აძლევს, რომლებიც არ შედის სკოლის სასწავლო კურიკულუმში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, კერძო გაკვეთილები შეიძლება გამოყენებული იყოს ხანმოკლე მიზნების მისაღწევადაც, როგორცაა, მაგალითად, სასკოლო გამოცდებისათვის მომზადება, ნიშნების გამოსწორება, ან რთულ საკითხებში უკეთ გარკვევა. მოსამზადებელ კურსებს აბიტურიენტებს, როგორც წესი, ინსტიტუტები სთავაზობენ (კერძო სააგენტოები, უმაღლესი სასწავლებლები, უნივერსიტეტის დეპარტამენტები და ა.შ.). ისინი ფოკუსირებულია ხანმოკლე, უშუალო შედეგების მიღწევაზე. კერძო გაკვეთილებთან შედარებით, მოსამზადებელი კურსები უფრო შედეგზე ორიენტირებული და მიზანმიმართულია - ძირითადად, მათი მიზანია მოსწავლეთა მომზადება უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად.

ზოგადად, კვლევის სამიზნე ქვეყნებში კერძო გაკვეთილები უფრო პოპულარულია მოსამზადებელ კურსებთან შედარებით, თუმცა ქვეყნების მიხედვით სურათი არაერთგვაროვანია. კერძო გაკვეთილები უფრო გავრცელებულია ცხრიდან ექვს ქვეყანაში, კერძოდ აზერბაიჯანში, საქართველოში, ლიტვაში, მონღოლეთში, პოლონეთსა და უკრაინაში. მოსამზადებელი კურსები კი უფრო მიღებულია ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, ხორვატიასა და სლოვაკეთში – სამ ქვეყანაში, სადაც ყველაზე დაბალია იმ მოწაფეთა წილი, რომლებიც ნებისმიერი ტიპის დამატებით კერძო მომზადებას მიმართავენ და, როგორც სლოვაკეთისა და ხორვატიის მაგალითზე გამოჩნდა, უკეთესად განვითარებული ეკონომიკური ბაზარი აქვთ. (იხ. დიაგრამა 1)


დიაგრამა № 1 კერძო მომზადების ტიპები ქვეყნების მიხედვით



კერძო რეპეტიტორობის ინტენსივობა

დამატებითი კერძო რეპეტიტორობის ინტენსივობა მნიშვნელოვნად ვარირებს რეგიონის მიხედვით, როგორც საგნების, ასევე აკადემიური საათების რაოდენობისა და რეგულარობის თვალსაზრისით. სავარაუდოდ, კერძო რეპეტიტორობა უფრო ინტენსიურია იმ ქვეყნებში, სადაც მეტია კერძო რეპეტიტორების სერვისის მომხმარებელთა პროპორციული რაოდენობა. მაგალითად, აზერბაიჯანის შერჩევის 87%, ხოლო საქართველოს შერჩევის 65% წლის განმავლობაში რეგულარულად ემზადება რეპეტიტორთან, მაშინ როდესაც პოლონეთში ეს მაჩვენებელი - 55%-ა, ლიტვაში - 54%, ხოლო ბოსნიასა და სორვატიაში - 11% . ამასთან, აზერბაიჯანსა და საქართველოში ყველაზე მაღალია იმ მოწაფეთა პროცენტი, რომელიც სამ ან მეტ საგანში ემზადება (79% და 24% შესაბამისად), ლიტვის (11 %) და სხვა ქვეყნების (5%-ზე ნაკლები) მაჩვენებლებთან შედარებით. (იხ. დიაგრამა 2). გარდა ამისა, აზერბაიჯანსა და საქართველოში ყველაზე მეტია იმ მოწაფეთა პროცენტი, რომლებიც კვირაში სამ აკადემიურ საათზე მეტს ხარჯავენ კერძო მომზადებაზე (75% თითოეულ ქვეყანაში), ამ კუთხით მონაცემები მხოლოდ მონღოლეთშია უფრო მაღალი (77 %).

დიაგრამა № 2 კერძო რეპეტიტორობის ინტენსივობა, რომელიც მოწაფეთა მიერ კერძო რეპეტიტორებთან მომზადებული საგნების რაოდენობაში აისახება (მოსწავლეთა პროცენტი, რომლებიც კერძოდ ემზადებიან)



საქართველოსა და აზერბაიჯანში კერძო მომზადების ინტენსივობა ყველაზე მაღალია. ყველაზე ნაკლები ინტენსივობით კერძო რეპეტიტორებთან მომზადება ხასიათდება ბალკანეთში, სადაც მოსწავლეთა უმეტესობა კერძო მომზადებას დროდადრო მიმართავს. მაგალითად, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მოსწავლეთა 40.3 % და სორვატიაში მოსწავლეთა 35.4 % კერძო გაკვეთილებს წლის განმავლობაში დროდადრო მიმართავს, თითოეულ ქვეყანაში მოსწავლეთა დაახლოებით 40 % კერძო რეპეტიტორთან ბოლო სასწავლო წლის მეორე სემესტრში ემზადება. კვლევაში ჩართული ყველა ქვეყნის მოსწავლეთა უმეტესობა ბოლო სასწავლო წლის მეორე სემესტრში ემზადება, მათი უმრავლესობა მონღოლეთშია წარმოდგენილი (76.3 %), ბალკანეთსა და სლოვაკეთში (50 %), ხოლო პოლონეთსა და ლიტვაში ბოლო სემესტრში კერძოდ დაახლოებით მოსწავლეთა ერთი მესამედი ემზადება, რეგულარულად ან დროდადრო. აზერბაიჯანის, საქართველოსა და მონღოლეთის მონაცემებთან შედარებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და ევროკავშირის ქვეყნების (ლიტვა, პოლონეთი, სლოვაკეთი) მოსწავლეები ნაკლებ დროს ხარჯავენ კერძო მომზადებაზე, უმეტესობა კერძო რეპეტიტორთან კვირაში ერთ ან ორ საათს ატარებს. კერძო რეპეტიტორობის ინტენსივობის დინამიკის მაჩვენებლებმა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა კერძო რეპეტიტორობაზე მოთხოვნის მიზეზებთან დაკავშირებით. კვლევაში მონაწილე ქვეყნების უმეტესობაში კერძო

მომზადებას მოსწავლეები დამამთავრებელი კლასის ბოლო სემესტრში მიმართავენ, რაც მიუთითებს კერძო მომზადების და მისაღები გამოცდების მჭიდრო ურთიერთკავშირზე, მაშინ როდესაც კავკასიის ქვეყნებში (აზერბაიჯანი და საქართველო) მოსწავლეები კერძოდ მთელი წლის განმავლობაში ემზადებიან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კერძო მომზადებას არა მარტო მოკლევადიანი მიზნები აქვს (როგორცაა გამოცდებისათვის მომზადება), არამედ უფრო გრძელვადიანი, საგანმანათლებლო დატვირთვაც ენიჭება (როგორცაა, არსებული საგანმანათლებლო სისტემის ნაკლოვანების შევსება)

აკადემიური საგნები

ზოგადად, განსაკუთრებული ყურადღება კერძო რეპეტიტორობის სფეროში იმ საგნებს ეთმობა, რომლებიც ბარდება სკოლის დამამთავრებელ და მისაღები გამოცდებზე. საგამოცდო სისტემის განსხვავებული სპეციფიკა (მაგ. ცენტრალიზებული გამოცდების წესები სხვადასხვა ქვეყანაში, ცალკეულ უნივერსიტეტებში ჩარიცხვის წესები, სპეციფიური სასწავლო პროგრამების მოთხოვნები და ა.შ.) და შერჩეულ ქვეყნებში სასწავლო პროგრამების ნაირსახეობა აისახება განსხვავებულ სურათში რეგიონების მიხედვით (იხ. ცხრილი 1) – სხვადასხვა ქვეყნებში მოსწავლეები სხვადასხვა საგნებში ემზადებიან. თუმცა, უმეტეს ქვეყანაში, მათემატიკა, უცხო ენები და მშობლიური ენა კერძო მომზადების სფეროში ყველაზე პოპულარულ საგნებს წარმოადგენს.

ცხრილი № 1 აკადემიური საგნები (მოსწავლეთა პროცენტი, რომელიც ემზადება კონკრეტულ აკადემიურ საგნებში)

ქვეყანა	მათემატიკა	უცხო ენა	მშობლიური	
			ენა	ისტორია
აზერბაიჯანი	87.6	89.1	89.5	82.4
ბოსნია და ჰერცეგოვინა	30	5.7	1.0	0.3
ხორვატია	87.4	9.0	12.6	2.2
საქართველო	59.6	45.2	40.7	26.4
ლიტვა	44.5	42.3	32.2	37.2
მონღოლეთი	60.5	11.9	25.2	2.2
პოლონეთი	13.5	34.0	14.9	33
სლოვაკეთი	16.6	18.3	2.8	8.4
უკრაინა	51.4	47.2	41.7	12.1
შერჩევის საშუალო	47.4	36.9	31.8	23.9

მიუხედავად ქვეყნების მიხედვით არსებული გარკვეული განსხვავებებისა, ყველა ქვეყნის ანგარიშში აღნიშნულია კავშირი კერძო მომზადების საგნის არჩევანსა და მისაღები გამოცდების სისტემას შორის. მაგალითად, აზერბაიჯანში, კერძო რეპეტიტორობის კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება იმ საგნებს ექცევა, რომლებიც უნივერსიტეტში ცენტრალიზებული გამოცდების სიაში შედის – აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა, უცხო ენები, მათემატიკა და გეოგრაფია¹. იგივე სურათია საქართველოშიც, სადაც მაგალითების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კერძო რეპეტიტორები ძირითადად გამოცდებზე არიან ორიენტირებულნი და საგნები, რომლებშიც მოსწავლეები ემზადებიან, ემთხვევა მისაღები გამოცდებზე ჩასაბარებელ საგნებს – ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია და მათემატიკა. იგივე სიტუაციაა პოლონეთში, სადაც კერძო რეპეტიტორობის სფეროში ყველაზე პოპულარულ საგნებს უნივერსიტეტის მისაღები გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნები წარმოადგენს – ისტორია, უცხო ენები, პოლონური ენა და პოლიტიკური მეცნიერებები.

¹ მაგალითად, აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა უმაღლეს სასწავლებელში მისაღები ხუთივე ჯგუფის სავალდებულო საგნების სიაში შედის, მათემატიკა და უცხო ენები – ხუთიდან სამში (მათ შორის ისეთი მაღალი მოთხოვნის ჯგუფებში, როგორცაა ეკონომიკა, მენეჯმენტი და სამართალი), ხოლო გეოგრაფია და ისტორია - ორ ჯგუფში (მათ შორის ისეთი მაღალი მოთხოვნის ჯგუფებში, როგორცაა საერთაშორისო ურთიერთობები და სამართალი)

კერძო რეპეტიტორობისთვის აკადემიური საგნების არჩევანისა და მისაღები გამოცდების მოთხოვნების შესაბამისობის აღიარებასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ რამოდენიმე ქვეყნის მაგალითზე გამოიკვეთა სხვა მიზეზებიც, რომელთა გამოც მოსწავლეები კერძო რეპეტიტორებს მიმართავენ. მაგალითად, ხორვატიაში მოსწავლეები მათემატიკაში კერძო რეპეტიტორებთან მომზადების მიზეზად ასახელებენ კურიკულუმის შეუსაბამობას მოსწავლის განვითარების დონესთან, საგნის სირთულეს, სწავლების დაბალ ხარისხს და არაადეკვატური კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებს. შესაბამისად, მონღოლეთის მაგალითიც ცხადყოფს, რომ მოსწავლეები კერძო რეპეტიტორებთან მათემატიკაში არა მხოლოდ მისაღები გამოცდებისთვის მოსამზადებლად დადიან, არამედ იმიტომაც, რომ ადრე ნასწავლი საკითხების სისტემატიზაცია მოახდინონ. ეს მაგალითები ადასტურებს, რომ მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგია და საგნის შინაარსი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

კერძო რეპეტიტორების სასწავლო ჯგუფების ზომა

სასწავლო ჯგუფების ზომა მნიშვნელოვნად იცვლება რეგიონების მიხედვით. უმეტეს ქვეყნებში მოსწავლეები, ძირითადად, ინდივიდუალურად, ანუ ერთი-ერთზე ემზადებიან კერძო რეპეტიტორებთან. რეპეტიტორთან ინდივიდუალური, კერძო გაკვეთილები ყველაზე მეტად ხორვატიაშია გავრცელებული (73%), შემდეგ მოდის პოლონეთი (67%), სლოვაკეთი (64%), უკრაინა (62%), ლიტვა (56%), და ბოსნია და ჰერცეგოვინა (54%) (იხ. ცხრილი 2). საწინააღმდეგოდ, რეპეტიტორთან ინდივიდუალური გაკვეთილები ნაკლებად პოპულარულია მონღოლეთში (14%), აზერბაიჯანსა (18%) და საქართველოში (39%). ამ ქვეყნებში მოსწავლეები კერძო რეპეტიტორებთან უფრო მოზრდილ ჯგუფებში მეცადინეობენ. მაგალითად, მონღოლეთის მოსწავლეთა 69 % და აზერბაიჯანის მოსწავლეთა 47% რეპეტიტორთან ისეთ სასწავლო ჯგუფებში ემზადება, რომელთა ზომა 4 მოსწავლეს აღემატება. შესაძლოა, ამ ქვეყნებში სასწავლო ჯგუფების შედარებით დიდი ზომა უფრო მძიმე ეკონომიკური მდგომარეობითაა განპირობებული. სავარაუდოდ, მოლოლეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მოსწავლეები (ეს ის სამი ქვეყანაა, სადაც ყველაზე დაბალია მთლიანი შიდა შემოსავალი) საკუთარ თავს ინდივიდუალური მომზადების უფლებას ვერ აძლევენ და იძულებულნი არიან, ჯგუფებში გაერთიანდნენ.

ცხრილი № 2 კერძო რეპეტიტორების სასწავლო ჯგუფების ზომა (მოსწავლეთა პროცენტი, რომლებიც ინდივიდუალურად ან ჯგუფურად ემზადებიან)

ქვეყანა	5			
	ინდივი- დუალურად	2-3 მოსწავლე	4-5 მოსწავლე	მოსწავლეზე მეტი
აზერბაიჯანი	18.5	34.6	26.2	20.7
ბოსნია და ჰერცეგოვინა	54.4	18.0	1.8	25.8
ხორვატია	73.4	11.3	2.6	12.8
საქართველო	38.8	31.9	14.9	14.4
ლიტვა	56.3	25.1	9.3	9.3
მონღოლეთი	13.9	16.9	15.6	53.6
პოლონეთი	67.1	8.5	3.0	21.4
სლოვაკეთი	64.3	10.7	5.6	19.4
უკრაინა	62.5	17.5	8.5	11.5

ყველა ქვეყანაში, კერძო ინდივიდუალურ გაკვეთილებთან შედარებით, მოსამზადებელი კურსების ჯგუფების ზომა უფრო დიდია. მოსწავლეთა დაახლოებით 40 % აღნიშნავს, რომ ემზადებოდა ჯგუფებში, რომელთა სიდიდე 16-დან 30 მოსწავლემდე მერყეობდა. თითქმის 30% ემზადებოდა ისეთ მოსამზადებელ კურსებზე, სადაც სასწავლო ჯგუფების ზომა 30 მოსწავლეს აღემატებოდა. ზოგადად, მოსამზადებელი კურსების სასწავლო ჯგუფები უფრო მცირე ზომისა აღმოჩნდა აზერბაიჯანში, საქართველოსა და ლიტვაში, სადაც მოსწავლეთა დაახლოებით 60% ემზადებოდა ისეთ ჯგუფებში, რომელთა ზომა 15 მოსწავლეს არ აღემატებოდა. მოსამზადებელი ჯგუფების ზომა განსაკუთრებით დიდია ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, ხორვატიაში, პოლონეთში, სლოვაკეთსა და უკრაინაში, სადაც მოსწავლეთა 40 % ემზადებოდა ჯგუფებში, სადაც 16-დან 30 მოსწავლემდე იყო. ამასთან, მოსწავლეთა 58% სლოვაკეთში და 48% ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ემზადებოდა ჯგუფებში, სადაც 30-ზე მეტი მოსწავლე ირიცხებოდა.

კერძო რეპეტიტორების მომსახურების ღირებულება

კერძო რეპეტიტორების მომსახურების ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. აზერბაიჯანისა და საქართველოს მონაცემებმა აჩვენა, რომ ერთ საგანში კერძო რეპეტიტორთან მომზადების საფასური ყველაზე მაღალ პროპორციულ წილს შეადგენს ერთ სულ მოსახლეზე საერთო შიდა პროდუქტის

მოცულობაში პროცენტული წილის თვალსაზრისით, შესყიდვისუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით (PPP US\$). მაგალითად, საქართველოში საშუალო მოსწავლე, რომელიც კერძო რეპეტიტორთან ემზადება წელიწადში დაახლოებით 196\$ ხარჯავს ერთ აკადემიურ საგანში მოსამზადებლად, რაც შესყიდვისუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის 7%-ს შეადგენს (იხ. ცხრილი 3). საწინააღმდეგოდ, ხორვატიაში საშუალო მოსწავლე, რომელიც კერძო რეპეტიტორთან ემზადება, წელიწადში ერთ აკადემიურ საგანში მოსამზადებლად გაცილებით ნაკლებს ხარჯავს, რაც შესყიდვისუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით (PPP US\$) ერთ სულ მოსახლეზე საერთო შიდა პროდუქტის მოცულობის 0.9%-ს შეადგენს.

ცხრილი № 3 კერძო რეპეტიტორების ერთ საგანში მომზადების წლიური საფასური ერთ სულზე მთლიან შიდა პროდუქტში პროცენტული წილის სახით (2004)

ქვეყანა	ერთ საგანში კერძო რეპეტიტორთან მომზადების წლიური საფასური			
	მედიანა		საშუალო	
	საერთო ღირებულების ექვივალენტი USD (2004)	ერთ სულზე საერთო შიდა პროდუქტში პროცენტული წილი USD PPP (2004)	საერთო ღირებულების ექვივალენტი USD (2004)	ერთ სულზე საერთო შიდა პროდუქტში პროცენტული წილი USD PPP (2004)
აზერბაიჯანი	180.0	4.31	220.7	5.29
ბოსნია				
ჰერცეგოვინა	136.0	1.91	191.9	2.70
ხორვატია	105.6	0.87	191.1	1.57
საქართველო	196.0	6.58	235.0	7.89
ლიტვა	154.3	1.19	201.1	1.54
მონღოლეთი	36.0	1.76	54.5	2.67
პოლონეთი	319.0	2.47	489.5	3.80
სლოვაკეთი	122.0	0.84	175.1	1.21
უკრაინა	150.8	2.39	374.8	5.93

შენიშვნა: კერძო რეპეტიტორთან მომზადების საფასური დაანგარიშებულია აშშ დოლარებში მონაცემთა შეგროვების მომენტისთვის (იანვარი 2005) არსებული ვალუტის გაცვლის კურსის გათვალისწინებით თითოეული ქვეყნისთვის. მონაცემთა დიდი გაფანტულობის და უკიდურეს მაჩვენებლებს შორის დიდი სხვაობის გამო, საშუალოსთან ერთად მოხდა მედიანის გამოთვლაც, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ქვეყნების მიხედვით მონაცემთა შედარება.

მიუხედავად იმისა, რომ კერძო რეპეტიტორთან მომზადების ფასები მნიშვნელოვნად ვარირებს ქვეყნების მიხედვით, ინდივიდუალური რეპეტიტორების მომსახურება ყველა ქვეყანაში უფრო ძვირია, ვიდრე მოსამზადებელი კურსების საფასური. ამ დასკვნის დამადასტურებელი მონაცემები მოყვანილია ცხრილში № 4. კვლევაში მონაწილე ქვეყნების უმეტესობაში (აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, საქართველო, ლიტვა, უკრაინა), ერთ საგანში კერძო რეპეტიტორთან მომზადების საფასური მინიმუმ ორჯერ აღემატება მოსამზადებელი კურსების საფასურს. აზერბაიჯანსა და ლიტვაში კერძო რეპეტიტორთან მომზადების საფასური სამჯერ აღემატება მოსამზადებელი კურსების საფასურს. უმეტეს შემთხვევაში, ღირებულება შედგება რეპეტიტორისა და მისი სააგენტოს ანაზღაურებისაგან. ზოგადად, იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების სამუშაო, რომლებიც მოსამზადებელ კურსებს სთავაზობენ მოსწავლეებს, სახელმწიფოს მიერ რეგულირდება და ექვემდებარება დაბეგვრას. კერძო რეპეტიტორთა მიერ შეთავაზებული გაკვეთილები კი არარეგულირებადია, და უმეტეს შემთხვევაში რეპეტიტორთა მიერ მიღებული ანაზღაურება სახელმწიფოსა და საგადასახადო სამსახურებისაგან დაფარული რჩება, რაც ჩრდილოვანი საქმიანობის მასშტაბებს ზრდის.

ცხრილი № 4 კერძო მომზადების ღირებულების შედარებითი მაჩვენებლები: გაკვეთილები კერძო რეპეტიტორთან და მოსამზადებელი კურსები

ქვეყანა	კერძო მომზადების საფასური (USD)			
	მედიანა		საშუალო	
	კერძო გაკვეთილები რეპეტიტორთან	მოსამზადებელი კურსები	კერძო გაკვეთილები რეპეტიტორთან	მოსამზადებელი კურსები
აზერბაიჯანი	180.0	50.0	220.7	179.9
ბოსნია და ჰერცეგოვინა	136.0	68.0	191.9	68.8
ხორვატია	105.6	90.5	191.1	101.5
საქართველო	196.0	88.2	235.0	168.5
ლიტვა	154.3	46.3	201.1	119.0
მონღოლეთი	36.0	22.5	54.5	29.7
პოლონეთი	319.0	223.3	489.5	282.6
სლოვაკეთი	122.0	67.8	175.1	92.3
უკრაინა	150.8	56.5	374.8	114.6

შენიშვნა: მომზადების საფასური დაანგარიშებულია აშშ დოლარებში მონაცემთა შეგროვების მომენტისთვის (იანვარი 2005) არსებული ვალუტის გაცვლის კურსის გათვალისწინებით თითოეული ქვეყნისთვის.

კერძო რეპეტიტორობის ბაზარი: მიმწოდებლები და მომხარებლები

უმეტეს შემთხვევაში, რეპეტიტორობაზე მოთხოვნას თავად კერძო რეპეტიტორების მხრიდან შემოთავაზება ქმნის. ასეთ პირობებში სერვისი იმიტომაც არსებობს, რომ მიმწოდებლები მას ხელმისაწვდომს ხდიან და, ამავე დროს, რეკომენდაციასაც უწევენ კერძო მომზადებას საკუთარ მოსწავლეებთან. მოსწავლეთა ნაწილი იმიტომ მიმართავს კერძო რეპეტიტორების დახმარებას, რომ ასეთი მომსახურება უბრალოდ არსებობს, მაშინ როდესაც სხვა შემთხვევაში, მოთხოვნას შეიძლება არც ეარსება. ამ მიზეზების გამო, კერძო რეპეტიტორობაში ჩართული ძირითადი მოქმედი პირების წარდგენას სწორედ მომსახურების მიმწოდებლებისაგან, და არა მომხმრებლისგან ვიწყებთ.


მიმწოდებლები: ვინ გვთავაზობს კერძო რეპეტიტორობას?

კერძო რეპეტიტორობის ბაზრის გასაგებად, მნიშვნელოვანია განვასხვაოთ კერძო რეპეტიტორები და მოსამზადებელი კურსების მასწავლებლები. რეპეტიტორები, რომლებიც კერძო გაკვეთილებს ატარებენ და ერთი-ერთზე სწავლებას ახორციელებენ, ძირითადად მომხმარებლის განსხვავებულ ჯგუფთან მუშაობენ, განსხვავებით მათგან, ვინც უფრო დიდ ჯგუფებთან მუშაობს და მომხმარებელს მოსამზადებელ კურსებს სთავაზობს. მაგალითად, რეპეტიტორები, რომლებიც ინდივიდუალურ გაკვეთილებს ატარებენ, საკუთარ მომსახურებას მოსწავლეთა მრავალფეროვან ჯგუფს სთავაზობენ, რომელშიც შესაძლოა შედიოდნენ მოსწავლეები, რომელთაც სურთ ნიშნების/მოსწრების გაუმჯობესება, შესწავლილი მასალის სისტემატიზაცია, ახალი უნარ-ჩვევების შექმნა, სკოლის დამამთავრებელი ან მისაღები გამოცდებისთვის მომზადება. ხოლო ისინი, ვინც მოსწავლეებს მოსამზადებელ კურსებს სთავაზობენ, ძირითადად ორიენტაციას მისაღები გამოცდებისთვის მომზადებაზე აკეთებენ.

გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ რამოდენიმე ქვეყნის მაგალითის გამოკლებით, ინდივიდუალური გაკვეთილების შეთავაზება ძირითადად სკოლის პედაგოგების მხრიდან მოდის. მაგალითად, აზერბაიჯანში, ლიტვაში, მონღოლეთსა და ხორვატიაში იმ რეპეტიტორთა უმეტესობას (70-80% თითოეულ ქვეყანაში), ვინც კერძო გაკვეთილებს სთავაზობს მოსწავლეებს, პედაგოგები

შეადგენენ, საქართველოში, პოლონეთში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში – 40%-ს, სლოვაკეთსა და უკრაინაში – 30%-ს. იუხედავად იმისა, რომ პროფესორები და ლექტორები ნაკლებად არიან ჩართულნი კერძო გაკვეთილების ჩატარების პროცესში, უკრაინაში რეპეტიტორთა თითქმის ნახევარს, ხოლო საქართველოში, პოლონეთსა და სლოვაკეთში - მესამედს სწორედ ეს ჯგუფი შეადგენს. იმ ქვეყნებში, სადაც უმაღლეს სასწავლებლებში მიღება დეცენტრალიზებულია და ინდივიდუალურ უმაღლეს სასწავლებელს უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად საკუთარი მოთხოვნების წამოყენება შეუძლია, მაღალია მოთხოვნა პროფესორებზე, ვისაც კავშირი აქვს უმაღლეს სასწავლებელთან და ხელი მიუწვდება მისადები გამოცდების საკითხებზე. ამ კონტექსტში, უმაღლესი განათლების დაწესებულებების ლექტორებსა და პროფესორებს შეუძლიათ დაეხმარონ მოსწავლეებს მისადები გამოცდების შინაარსისა და საკითხების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფითა და, ასევე, კონკრეტული ტესტების შევსების უნარ-ჩვევების სწავლებით, რაც მათ, სხვებთან შედარებით, უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებს.

დიაგრამა № 3 ვინ სთავაზობს კერძო რეპეტიტორობას



კერძო გაკვეთილებისგან განსხვავებით, მოსამზადებელი კურსების შეთავაზება, ძირითადად, უნივერსიტეტის ლექტორებისა და პროფესორების მხრიდან მოდის. მაგალითად, სლოვაკეთში უნივერსიტეტის პროფესორები მოსამზადებელი კურსების პედაგოგთა უდიდეს ნაწილს (87%) შეადგენენ, უკრაინაში - (85%), პოლონეთში - (75%), საქართველოში - (64%), ხოლო ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში

– თითქმის ნახევარს. ამ ქვეყნებში მისაღები გამოცდები დეცენტრალიზებულია და ბევრი უნივერსიტეტი (ისევე როგორც ამ უნივერსიტეტების ცალკეული ფაკულტეტები) საკუთარ მოსამზადებელ კურსებს სთავაზობენ პოტენციურ სტუდენტებს. ამ მოსამზადებელ კურსებს, ძირითადად, იმავე უნივერსიტეტში დასაქმებული ლექტორები და პროფესორები უძღვებიან. ეს კურსები ნაწილობრივ იმიტომაცაა მიმზიდველი მოსწავლეთათვის, რომ მათ კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო პროგრამებისთვის მომზადების, მისაღები გამოცდების შინაარსისა და საკითხების გაცნობისა და, ასევე, ტესტების შევსების აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენის შესაძლებლობა ეძლევათ. არ არის გასაკვირი, რომ სლოვაკეთის, უკრაინისა და პოლონეთის (სამი ქვეყანა, სადაც ყველაზე მაღალია კერძო რეპეტიტორთა შორის უნივერსიტეტის პროფესორთა პროპორციული წილი) რესპოდენტთა უმეტესობა დაეთანხმა ან სრულიად დაეთანხმა გამონათქვამს: „უნივერსიტეტის პროფესორები უკეთესი რეპეტიტორები არიან ვიდრე სკოლის მასწავლებლები“.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებელი კურსების პედაგოგები, ძირითადად, ყველა ქვეყნის მონაცემების მიხედვით, უნივერსიტეტის პროფესორები არიან, არსებობს რამოდენიმე გამონაკლისიც. მაგალითად, რესპოდენტთა უმეტესობა ხორვატიასა (67%) და მონღოლეთში (51%) აღნიშნავს, რომ დადიოდნენ მოსამზადებელ კურსებზე, სადაც რეპეტიტორები სკოლის მასწავლებლები იყვნენ. ხორვატიაში, ეს რეპეტიტორობის უფრო დივერსიფიცირებულ ბაზარს ასახავს, სადაც მოსამზადებელი კურსების ორგანიზებას არა მარტო უმაღლესი სასწავლებლები, არამედ კერძო სააგენტოებიც და საზოგადოებრივი ინსტიტუტებიც აკეთებენ (მაგ., ზრდასრულთა განათლების პროგრამები). ხორვატიასა და მონღოლეთში, არასაუნივერსიტეტო მოსამზადებელი კურსები უფრო გავრცელებულია სოფელში, სადაც მოსწავლეებს ხელი არ მიუწვდებათ უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების მიერ ორგანიზებულ მოსამზადებელ კურსებზე (რომლებიც, ძირითადად, დიდ ქალაქებშია განთავსებული). ამ შემთხვევებში, კერძო სააგენტოებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიერ ორგანიზებული მოსამზადებელი კურსები უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებისათვის მოსამზადებლად მოსწავლეებს კარგ ალტერნატივას სთავაზობენ და, ასევე, სკოლის პედაგოგებს დამატებითი დასაქმების საშუალებასაც უქმნიან.

მომხმარებელი: ვინ სარგებლობს კერძო რეპეტიტორის მომსახურებით?

მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე დაკვირვებით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ კერძო რეპეტიტორებთან ის მოსწავლეები ემზადებიან, რომელთაც დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ და დამატებითი დახმარება სჭირდებათ. თუმცა, კვლევამ დაადასტურა, რომ ამ წინაპირობის არსებობა არ არის აუცილებელი ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისთვის. ფაქტიურად, რესპოდენტთა 80%-ზე მეტი „არ ეთანხმება“ ან „სრულიად არ ეთანხმება“ გამონათქვამს: „კერძო რეპეტიტორებთან მხოლოდ დაბალი მოსწრების მოსწავლეები ემზადებიან“. ქვეყნების მიხედვით მცირე განსხვავებების მიუხედავად, კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ კერძო რეპეტიტორებთან ძირითადად „კარგი“ მოსწავლეები ემზადებიან. მაგალითად, აზერბაიჯანში ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კერძო რეპეტიტორთან მომზადებული მოსწავლეების 90 % სკოლაში საუკეთესო ნიშნებს იღებს (ოთხებსა და ხუთებს, ხუთბალიანი შეფასების სისტემით). თუმცა, იგივე კვლევამ აჩვენა, რომ ხორვატიაში ისინი, ვინც რეპეტიტორთან არ ემზადებიან, ოდნავ უკეთეს ნიშნებს იღებენ სკოლაში, იმათთან შედარებით, ვინც რეპეტიტორთან ემზადება (საშუალო ქულა 4.19 მათთან, ვინც არ ემზადება და 3.84 ქულა მათთან, ვინც ემზადება რეპეტიტორთან, ხუთბალიანი შეფასების სისტემით). ეს ადასტურებს, რომ მოსწავლეები კერძო მომზადებას სხვადასხვა მიზეზის გამო მიმართავენ, მათ შორის საგანმანათლებლო ბაზარზე საკუთარი კონკურენტუნარიანობის გაზრდისა (მისაღები გამოცდებისათვის მომზადება) და სკოლაში ნიშნების გამოსწორების მიზნით.

ასევე, მნიშინელოვანია იმ მოსწავლეთა მხრიდან მიღებული ინფორმაცია, რომლებიც კერძო რეპეტიტორებთან არ ემზადებიან. ქვეყნების მიხედვით ამ ჯგუფის საერთო შერჩევის უმეტესობა (62%) აღნიშნავს, რომ მშვენივრად უძღვება საქმეს კერძო რეპეტიტორის გარეშე. ასეთი რესპოდენტების ყველაზე დიდი პროპორციული წილი პოლონეთში დაფიქსირდა (83%), ხოლო ყველაზე დაბალი (43%) – საქართველოში. მათ შორის, ვინც კერძო რეპეტიტორებთან არ ემზადება, 22 %-მა აღნიშნა, რომ არ მიმართავს რეპეტიტორის დახმარებას იმის გამო, რომ ეს მომსახურება ძვირია. ასეთ მოსწავლეთა ყველაზე დიდი პროპორციული წილი (44%) საქართველოშია, ხოლო ყველაზე დაბალი (7%) ხორვატიაში დაფიქსირდა. ამასთან ერთად, ზოგიერთმა მოსწავლემ აღნიშნა (13 % საერთო შერჩევიდან), რომ არ ემზადება კერძო რეპეტიტორთან, რადგან მეგობრები უფასოდ ეხმარებიან.

კერძო რეპეტიტორებთან მომზადების პრაქტიკა უფრო გავრცელებულია იმ მოსწავლეებში, რომლებიც საკუთარი ოჯახების კეთილდღეობის მდგომარეობას აფასებენ, როგორც „საშუალო“ ან „საშუალოზე მაღალი“ და ასევე მათთან, ვის

მშობლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული. მაგალითად, კერძო რეპეტიტორებთან მომზადების ფაქტს აღნიშნავს იმ მოსწავლეთა 41%, რომლებიც თვლიან, რომ მათი ოჯახების კეთილდღეობის მაჩვენებელი ქვეყანაში ამ მხრივ საშუალო მაჩვენებელზე მაღალია, მაშინ, როდესაც იმ ჯგუფში, რომელმაც საკუთარი ოჯახების კეთილდღეობის მდგომარეობა შეაფასა, როგორც საშუალოზე დაბალი, რეპეტიტორებთან მხოლოდ 28% ემზადება. ასევე, კერძო რეპეტიტორებთან ემზადება იმ მოსწავლეთა 45%, რომელთა მშობლებს უმაღლესი განათლება აქვთ, და მხოლოდ 25% - ვის მშობლებსაც არ აქვთ უმაღლესი განათლება (მხოლოდ საშუალო ან არასრული საშუალო განათლება). მაშინ, როდესაც კერძო რეპეტიტორებთან მომზადების კუთხით მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდა ქალაქსა და სოფელში, უმეტეს ქვეყანაში ეს განსხვავება თვალსაჩინოა მოსამზადებელი კურსების მომხმარებელთა რაოდენობის თვალსაზრისით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ისაა, რომ მოსამზადებელი კურსების მიმწოდებლები, უმეტეს შემთხვევაში, უნივერსიტეტები არიან და ისინი უბრალოდ არ არიან ხელმისაწვდომი (ფინანსურად ან გეოგრაფიულად) პერიფერიის მოსწავლეთათვის. ყველა ქვეყანაში გამოკითხულ რესპოდენტებში კერძო რეპეტიტორების სერვისის მომხმარებლებში გენდერული პარიტეტი გამოჩნდა.

კერძო რეპეტიტორობაზე მოთხოვნის მამოძრავებელი ეროვნული ფაქტორები

რატომ არის რეპეტიტორობა უფრო თვალსაჩინო გარკვეულ ქვეყნებში? რომელი სპეციფიური ფაქტორები განაპირობებს ამ განსხვავებებს? ქვეყნების მიხედვით კერძო რეპეტიტორობის მასშტაბების განსხვავებების ანალიზმა ცოტაოდენი ნათელი მოჰფინა ამ საკითხს. ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნებში კერძო რეპეტიტორობაზე მოთხოვნის მამოძრავებელი მრავალი ფაქტორიდან, განსაკუთრებით სამი ფაქტორი იკვეთება. პირველი გამომდინარეობს ფართოდ მიღებული არგუმენტიდან, რომ ფართომასშტაბიანი ჩრდილოვანი განათლება „განვითარების სტრატეგიის“ შედეგია, რომელიც საგანმანათლებლო სისტემის მზარდ კონკურენტულ ბუნებას და გართულებულ საგამოცდო სისტემას უკავშირდება. მეორე ფაქტორი მოსწავლეთა მიერ სასკოლო განათლების ხარისხის დაბალ შეფასებას და კერძო რეპეტიტორობის, როგორც ამ მოვლენაზე საპასუხო მაკომპენსირებელი მექანიზმის, გამოყენებას უკავშირდება. მესამე ფაქტორი მასწავლებელთა მიმე სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირდება,

რის გამოც, პედაგოგები რეპეტიტორობას შემოსავლის დამატებით წყაროდ იყენებენ.

კერძო რეპეტიტორობა როგორც „განვითარების სტრატეგია“

ყოფილ სოციალისტურ ბლოკში კერძო რეპეტიტორობა, ძირითადად, გამოიყენება როგორც განათლების ბაზარზე საკუთარი “კონკურენტუნარიანობის გაზრდის სტრატეგია“. კერძოდ, საერთო შერჩევის რესპოდენტთა უმეტესობას (84%) სჯერა, რომ „მოსწავლეები კერძო რეპეტიტორებთან ემზადებიან იმიტომ, რომ გაზარდონ უნივერსიტეტში მოხვედრის საკუთარი შანსი “ (იხილე ცხრილი №5). ასევე, კერძო რეპეტიტორებთან მომზადებული რესპოდენტების უმეტესობა (57%) აღნიშნავს, რომ რეპეტიტორთან დადიოდა იმიტომ, რომ უკეთ მომზადებულიყო მისაღები გამოცდებისათვის. ასეთ მოსწავლეთა ყველაზე მაღალი წილი გამოვლინდა ლიტვასა და უკრაინაში (70%-ზე მეტი), მონღოლეთში, სლოვაკეთსა და საქართველოში (60%-ზე მეტი). მიუხედავად იმისა, რომ მისაღები გამოცდების სტრუქტურა იცვლება რეგიონების მიხედვით (იხ. ცხრილი № 3), ხარისხობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ უმაღლესი განათლება განმსაზღვრელია სამუშაო ბაზარზე წარმატების მისაღწევად. ამ კონტექსტში სავარაუდოა, რომ მოსწავლეები მიმართავენ კერძო რეპეტიტორებს, რათა გამოცდებზე საკუთარი შედეგები გააუმჯობესონ, რაც, როგორც წესი, შემდგომი განათლებისა და სამუშაო ბაზარზე შესაძლებლობების გახსნის წინაპირობად აღიქმება.

გამოცდებისათვის მოზმადების გარდა მოსწავლეებმა რეპეტიტორებთან მომზადების სხვა მიზეზებიც დაასახელეს, მათ შორისაა: ცოდნის დეფიციტის შევსების სურვილი (34 %), ადრე ნასწავლი მასალის სისტემატიზაცია და გახსენება (28%), სკოლის საგნების უკეთ შესწავლა (26%). ამ მიზეზების უმეტესობა მიგვანიშნებს, რომ კერძო რეპეტიტორობა ხარისხის პრობლემაზე რეაგირების გზაა. თუმცა, შესაძლოა ეს იმაზეც მიუთითებდეს, რომ მოსწავლეებს აქვთ სურვილი მიიღონ მაღალი ნიშნები იმისათვის, რომ უნივერსიტეტში ჩასაბარებლად საკუთარი კონკურენტუნარიანობა გაზარდონ. ეს განსაკუთრებით ტიპურია იმ ქვეყნებში, სადაც სასკოლო ნიშნები უნივერსიტეტში ჩარიცხვის პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია (ხორვატია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, სლოვაკეთი, პოლონეთი). ცხრილი № 5 გვიჩვენებს, რომ იმ რესპოდენტთა პროპორციული წილი, რომლებსაც სჯერა, რომ „მოსწავლეები კერძო რეპეტიტორებთან სკოლის ნიშნების გამოსასწორებლად ემზადებიან“ უფრო

მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისას გათვალისწინებულია ატესტატის მონაცემები (მაგ. პოლონეთსა და სლოვაკეთში ეს პროპორციული მაჩვენებელი 70%-ზე მეტია). პროცენტი შედარებით დაბალია იმ ქვეყნებში, სადაც სკოლის ნიშნების გათვალისწინება არ ხდება (30%-ზე ნაკლები ახერბაიჯანსა და საქართველოში). საინტერესოა, რომ კერძო რეპეტიტორთან მომზადების მიზეზებს შორის, „თანატოლთა და მშობელთა გავლენა“ მოსწავლეთა ძალიან მცირე პროცენტმა აღნიშნა. (იხ. ცხრილი № 4.5)

ცხრილი № 5 მიზეზები, რომელთა გამო მოსწავლეები მიმართავენ კერძო რეპეტიტორს (მოსწავლეთა პასუხების პროცენტი)

	მოსწავლეები კერძოდ ემზადებიან იმიტომ, რომ გაზარდონ უნივერსიტეტში მოხვედრის საკუთარი შანსი	მოსწავლეები კერძოდ ემზადებიან იმიტომ, რომ საკუთარი ნიშნები გამოასწორონ	მისაღები გამოცდებისთვის უკეთ მომზადება	შევაგხო დევიციტი საკუთარ ცოდნაში	გაიხსენო და სისტემატიზაცია მოეახდინო უკვე ნასწავლიმასალა	უფრო სრულყოფილად შევისწავლო საგნები, რომლებიც სკოლაშიც ისწავლება	მშობლებმა მიიჩიეს რეპეტიტორთან მომზადება	სხვა მოსწავლეები ემზადებიან და მეც ამიტომ გადავწყვიტე
	ყველა რესპოდენტის პროცენტი*		კერძო რეპეტიტორების მომსახურების მომხმარებელთა პროცენტი					
ახერბაიჯანი	93.9	21.0	39.8	40.6	31.4	26.3	1.3	4.1
ბოსნია და								
ჰერცეგოვინა	66.4	64.1	42.4	33.4	7.7	37.3	3.9	2.9
ხორვატია	82.3	69.8	31.8	46.2	9.0	32.1	0.7	0.7
საქართველო	69.1	30.9	61.4	38.9	24.1	16.0	0.5	0.3
ლიტვა	87.8	68.5	70.0	17.0	45.7	37.0	1.7	1.3
მონღოლეთი	90.9	41.6	62.3	27.3	42.7	29.2	10.1	2.3
პოლონეთი	92.1	70.0	50.5	38.6	37.2	23.2	2.1	1.9
სლოვაკეთი	93.7	78.2	62.2	55.0	21.4	30.0	5.5	2.8
უკრაინა	81.6	46.8	78.9	18.5	13.2	16.8	3.3	0.5
შერჩევის საშუალო (შეწონილი)	84.2	54.5	57.0	33.6	28.2	26.0	3.2	1.9


* იმ მოსწავლეთა კომბინირებული პროცენტი, რომლებმაც აირჩიეს პასუხები „ვეთანხმები“ ან „სრულიად ვეთანხმები“

იმის გათვალისწინებით, რომ კერძო რეპეტიტორთან მომზადების ძირითადი მიზეზი მისაღები გამოცდებისთვის მომზადებაა, საინტერესოა, როგორია მისაღები გამოცდებზე მიღებული შედეგების თვალსაზრისით რეპეტიტორთან მომზადებით გამოწვეული ეფექტი.


ზოგადად, მოსწავლეთა მიღწევებზე კერძო რეპეტიტორობის გავლენის საერთაშორისო შეფასება ძნელია იმის გამო, რომ უამრავი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო და საკმაოდ რთულია მოსწავლეთა საერთო/უნიფიცირებული მახასიათებლების განსაზღვრა. კვლევის შეზღუდვების და მეთოდოლოგიური სირთულეების გათვალისწინებით, მკვლევარებმა შეისწავლეს მისაღები გამოცდებზე მიღებულ შედეგებზე რეპეტიტორთან მომზადებით მოხდენილი გავლენის *მოსწავლეთა მიერ აღქმა* (რეალური გავლენის ნაცვლად). კერძოდ, მოსწავლეებს სთხოვდნენ შეეფასებინათ, მათი აზრით, რამდენად იყო დამოკიდებული სკოლის დამამოვრებელი და მისაღები გამოცდების შედეგები კერძო რეპეტიტორთან მომზადებაზე (როგორც კერძო გაკვეთილების, ისე მოსამზადებელი კურსების შემთხვევაში)

მოსწავლეთა პასუხებმა საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა. მათ შორის, ვინც რეპეტიტორებთან ემზადება, უმეტესობა (54.3%) აღნიშნავს, რომ კერძო მომზადებამ გარკვეული ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მისაღები გამოცდებზე მათ მიერ მიღებულ შედეგებზე. ასეთ მოსწავლეთა ყველაზე დიდი პროპორციული წილი ყოფილი საბჭოთა კავშირის ოთხ ქვეყანაში დაფიქსირდა, მათ შორის 75% აზერბაიჯანში, 63% - უკრაინაში, 66% - საქართველოში, 55% - ლიტვაში (იხ. ცხრილი № 6). ყველა ქვეყანაში, კერძო რეპეტიტორების მომზადების გავლენასთან შედარებით, ნაკლებად შთამბეჭდავია მოსწავლეთა მიერ მოსამზადებელი კურსების გავლენის შეფასება. კერძო რეპეტიტორებთან მომზადებული რესპოდენტების მხოლოდ 29% აღნიშნავს, რომ მოსამზადებელმა კურსებმა „მნიშვნელოვანი გავლენა“ მოახდინა მათ მიერ მისაღები გამოცდებზე მიღებულ შედეგებზე. რესპოდენტთა უმეტესობა (კვლევის შერჩევის 55 %) ფიქრობს, რომ მოსამზადებელმა კურსებმა ნაწილობრივ იქონია გავლენა მათ მიერ მიღებულ შედეგებზე (იხ. ცხრილი № 7).

ცხრილი № 6 კერძო რეპეტიტორთან მომზადების გავლენის შეფასება მოსწავლეთა მიერ მისაღები გამოცდების შედეგებზე (კერძოდ მომზადებულ მოსწავლეთა პროცენტი)



ცხრილი № 7 მისამზადებელი კურსების გავლენის შეფასება მოსწავლეთა მიერ მისაღები გამოცდების შედეგებზე (კერძოდ მომზადებულ მოსწავლეთა პროცენტი)




კერძო რეპეტიტორობის მაკომპენსირებელი ფუნქცია

კერძო რეპეტიტორობის მასშტაბები და ინტენსივობა მნიშვნელოვნად ეხმაურება მოსწავლეთა და მათი ოჯახების მხრიდან ზოგადი სასწავლო პროცესის შედეგად მიღებული განათლების ხარისხის აღქმას. კვლევაში მონაწილე ყველა ქვეყანაში რესპოდენტებს სჯერა, რომ კერძო რეპეტიტორებთან მომზადება ერთადერთი შესაძლო პასუხია საშუალო განათლების დაბალ ხარისხზე. საერთო შერჩევის რესპოდენტთა დაახლოებით 85% (ქვეყნების მიხედვით ძალიან მცირე გადახრებით) ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ: „ზოგადი სასკოლო განათლება ისეთი ხარისხისა უნდა იყოს, რომ არ არსებობდეს დამატებით, კერძო რეპეტიტორთან მომზადების აუცილებლობა“. შესაძლოა, მოსწავლეთა გადაწყვეტილება, დამატებით მოემზადონ კერძო რეპეტიტორთან იმის მაჩვენებელია, რომ ისინი უკმაყოფილონი არიან ზოგადი სასკოლო განათლების ხარისხით. მაგალითად, რესპოდენტთა დაახლოებით 60%-ს აზერბაიჯანსა და 50%-ს საქართველოში – ქვეყნებში, სადაც კერძო რეპეტიტორობის ყველაზე ფართო სპექტრი და მაღალი ინტენსივობა აღინიშნება - სჯერა, რომ კერძო რეპეტიტორთან მომზადება „ერთადერთი გზაა მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად“ (იხ. დიაგრამა № 4). ქვეყნების მაგალითების კვლევამ და ოფიციალურმა სტატისტიკურმა მონაცემებმა ცხადყო, რომ ამ ქვეყნებში ზოგადი სასკოლო განათლების სისტემა, გარდამავალ პერიოდში, ქრონიკულად განიცდიდა დაფინანსების დეფიციტს, რამაც სასკოლო განათლების ხარისხის დაქვეითება გამოიწვია, რაც სახელმძღვანელოების, სასწავლო მასალების, მასწავლებლებისათვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების დეფიციტში, ასევე სკოლის ინფრასტრუქტურის მოშლასა და სხვა ფაქტორებში აისახა. საქართველოსა და აზერბაიჯანში კერძო რეპეტიტორებთან მომზადებამ სკოლის როლი შეითავსა და, ფაქტიურად, ამ გზით ზოგადი სასკოლო განათლების ფუნქციის კერძო მომზადებით ჩანაცვლება მოახდინა.

საწინააღმდეგოდ, იმ ქვეყნებში, სადაც ყველაზე მცირეა კერძო რეპეტიტორობის მასშტაბები და ინტენსივობა, ნაკლებია ისეთ რესპოდენტთა რაოდენობაც, რომლებიც თვლიან, რომ „კერძო რეპეტიტორთან მომზადება ერთადერთი გზაა მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად“ (ხორვატია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, სლოვაკეთი). ამ ქვეყნებში, მოსწავლეები უფრო კმაყოფილნი არიან ზოგადი სასკოლო განათლების ხარისხით და ნაკლებ საჭიროებას განიცდიან კერძო რეპეტიტორებთან მომზადების კუთხით. პოლონეთსა და ლიტვაში საინტერესო შედეგები გამოვლინდა. ამ ქვეყნებში ყველაზე მცირეა იმ მოსწავლეთა პროცენტი,

რომლებიც თვლიან, რომ „კერძო რეპეტიტორთან მომზადება ერთადერთი გზაა უმაღლესი განათლების მისაღებად“ (9 და 14 პროცენტი შესაბამისად), თუმცა ამავე ქვეყნებში შედარებით მაღალია კერძო რეპეტიტორებთან მომზადების მასშტაბი (58 და 50 პროცენტი შესაბამისად). ამ ქვეყნების კვლევის ანგარიშებში მოყვანილია განმარტება, რომლის მიხედვითაც, პოლონელი და ლიტველი მოსწავლეები, შესაძლოა, სრულიად კმაყოფილნი არიან ზოგადი სასკოლო განათლების ხარისხით. ისინი მიმართავენ კერძო რეპეტიტორებს, რათა გაზარდონ საკუთარი კონკურენტუნარიანობა მისაღებ გამოცდებზე არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში.

დიაგრამა № 4 კერძო რეპეტიტორების მასშტაბი და მოსწავლეთა მიერ ზოგადი სასკოლო განათლების ხარისხის აღქმა



კერძო რეპეტიტორობა, როგორც მასწავლებლებისთვის დამატებითი შემოსავლის მიღების საშუალება

კვლევის ფარგლებში შესწავლილი ქვეყნების სიტუაცია ცხადყოფს, რომ კერძო რეპეტიტორობის ფენომენის გავრცელება ნაწილობრივ მაინც განპირობებულია მასწავლებელთა გაუარესებული სოციო-ეკონომიკური სტატუსით. გარდამავალი პერიოდის

ზოგიერთი ადამიანისათვის კერძო რეპეტიტორობა ძირითადი შემოსავალი და საარსებო წყაროა. ეს ბაზარი ღიაა პენსიაზე გასული მასწავლებლებისთვის, კარგი პედაგოგებისათვის, რომლებსაც კანონის თანახმად, არ შეუძლიათ სკოლაში მუშაობა, რადგან მათთვის იქ ადგილი არ არის. ამიტომ ისინი ხსნიან კერძო ფირმებს, რომლებიც კერძო მომზადებას სთავაზობენ მოსწავლეებს და იხდიან გადასახადებს. ეს კარგი გამოსავალია. (ფიზიკის მასწავლებელი, პოლონეთი)

დასაწყისშივე, მასწავლებელთა ხელფასები მნიშვნელოვნად შემცირდა და მათი ანაზღაურება ვეღარ აკმაყოფილებდა საშუალო ზომის ოჯახისთვის აუცილებელ საარსებო მინიმუმს. კვლევაში მონაწილე ქვეყანათა უმეტესობაში, 2004 წელს მასწავლებელთა ხელფასი ქვეყანაში არსებული ხელფასის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია (ხორვატია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, სლოვაკეთი, საქართველო). ამ კონტექსტში, კერძო რეპეტიტორობის უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ის დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას ქმნის. რეპეტიტორთა ნაწილს უკვე აქვს გარკვეული შემოსავლის წყარო (მაგ. საშუალო სკოლის მასწავლებლებს), მაგრამ სხვებს, შესაძლებელია, არც ჰქონდეთ ალტერნატიული შემოსავლის წყარო (მაგ. პენსიაზე გასული მასწავლებლები). საერთო შერჩევის რესპოდენტთა უდიდესი ნაწილი (63%) ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება გამონათქვამს: „მასწავლებლებისთვის კერძო რეპეტიტორობის დაწყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, დამატებითი შემოსავლის მიღებაა“. იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური სიტუაცია უფრო მძიმეა, ასეთი რესპოდენტების პროპორციული წილი უფრო მაღალია – მონღოლეთი (74%), უკრაინა (74%), აზერბაიჯანი (71%).

საგანმანათლებლო, სოციალური და ეკონომიკური გავლენა

კერძო რეპეტიტორებთან დამატებითი განათლების მიღებას, შესაძლოა, შორსმავალი საგანმანათლებლო, სოციალური და ეკონომიკური ეფექტი ჰქონდეს. ამ ნაწილში გაანალიზებულია კერძო რეპეტიტორებთან მომზადების გავლენა (1) ზოგად სასკოლო პროცესზე (2) სოციალურ უთანასწორობასა და (3) კორუფციის მასშტაბზე სკოლებში.

კერძო რეპეტიტორობა და მისი გავლენა სასკოლო განათლებაზე

კერძო რეპეტიტორობა სხვადასხვა გზებით ახდენს ზეგავლენას სასკოლო განათლების პროცესზე. პოზიტიური მხრიდან, მან შეიძლება გაზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია სწავლისადმი (ახალი ინოვაციური, ინდივიდუალიზირებული სასწავლო მეოდების შეთავაზების გზით). უფრო ნეგატიური თვალსაზრისით, კერძო რეპეტიტორობამ, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს სწავლებისა და სწავლის დინამიკასა და სასკოლო კურიკულუმზე.

კერძო რეპეტიტორობა და სწავლების ახლებური მეთოდები

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საერთო შერჩევის რესპოდენტთა უმეტესობას (60%-ზე მეტს) სჯერა, რომ მოსწავლეები კერძო რეპეტიტორებთან ცოდნის გაღმავების მიზნით ემზადებიან. კერძოდ, ხარისხობრივი მონაცემები ადასტურებს, რომ კერძო რეპეტიტორთან მომზადება მოსწავლეებს სასკოლო საგნების უკეთ გაგებასა და სკოლის კურიკულუმს ზემოთ დამატებითი ცოდნის მიღების შესაძლებლობას აძლევს. მეტიც, კერძო რეპეტიტორობა, ზოგადი სასკოლო პროგრამისგან განსხვავებით, სწავლებისა და სწავლის ახალ, უცხო მოდელებს ეყრდნობა. მაგალითად, რამოდენიმე ქვეყნის მაგალითი ცხადყოფს, რომ კერძო რეპეტიტორთან მომზადებისას, ზოგადი სასკოლო სწავლებისგან განსხვავებით, უფრო ზუსტად ხდება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. ერთ-ერთი პოლონელი პედაგოგი ასე აღწერს ზოგადი სასკოლო განათლების პროცესს: „... მოსწავლეთა დიდი რაოდენობა, შეზღუდული ვადები, დიდი მასალა, არასაკმარისი დრო ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანის მისაღწევად – მოსწავლეებში სწავლის სურვილის გამოსამუშავებლად...“ კერძო რეპეტიტორთან მომზადება, პირველ რიგში, მოსწავლესა და რეპეტიტორს შორის ინდივიდუალური კონტაქტის დამყარების შესაძლებლობას ქმნის. რამდენიმე ქვეყნის ანგარიში ხაზს უსვამს კერძო რეპეტიტორობის სხვა პოზიტიურ ასპექტებსაც. მათ შორის, მოსწავლეთა სწორი თვითშეფასების ჩამოყალიბებას, მათი ნიჭისა და მიდრეკილებების განვითარებასა და მიღებული განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.

კერძო რეპეტიტორობა და სწავლებისა და სწავლის დინამიკა სასკოლო განათლების სისტემაში

კერძო რეპეტიტორობას, შესაძლოა ნეგატიური გავლენაც ჰქონდეს ზოგადი სასკოლო განათლების პროცესებზე. საზოგადოებებში, სადაც კერძო რეპეტიტორებთან მომზადება ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი არ არის (რაც ჩანს კვლევის ფარგლებში შესწავლილ ყველა ქვეყანაში), შეიძლება გაზარდოს განსხვავება მოსწავლეთა მოსწრებაში (არაპარიტეტული მდგომარეობა). მასწავლებელთა ნაწილმა სწავლის ტემპში ამ შეუსაბამობას დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების შემოღებით უპასუხოს, ნაწილმა კი – იმ მოსწავლეების სწავლის ტემპი, რომლებიც კერძო რეპეტიტორებთან ემზადებიან, ნორმად მიიჩნიოს, რაც მოსწავლეთა შორის მოსწრების სხვაობას კიდევ უფრო გაზრდის. უფრო მეტიც, ზოგიერთმა მასწავლებელმა შეიძლება უკეთ შეაფასოს ის მოსწავლეები, რომლებიც კერძო რეპეტიტორებთან ემზადებიან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს მოსწავლეები თავად ამ მასწავლებელთან ემზადებიან. რესპოდენტთა უმეტესობა აზერბაიჯანში (66,5%), მონღოლეთსა (63,7%) და უკრაინაში (58,7) თვლის, რომ მასწავლებლები უპირატესობას იმ მოსწავლეებს ანიჭებენ, რომლებიც მათთან ემზადებიან. ასეთ გარემოებებში, მშობლები გარკვეული წნეხის ქვეშ აღმოჩნდებიან და იძულებულნი ხდებიან, გადაიხადონ კერძო რეპეტიტორების მომსახურების საფასური, რაც, სავარაუდოდ, ამ ქვეყნებში კერძო რეპეტიტორობის მაღალი მაჩვენებლების არსებობას განაპირობებს.

კერძო რეპეტიტორობა და სასკოლო კურიკულუმი

ქვეყნებში, სადაც ყველაზე მაღალია კერძო რეპეტიტორებთან მომზადების მაჩვენებლები, ხარისხობრივი კვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ კერძო რეპეტიტორებთან მომზადებამ, შესაძლოა, უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს სასკოლო კურიკულუმზე.

წარსულს რომ გადავხედოთ, მე ვფიქრობ, რომ სკოლაში სიარული დროის უსარგებლოდ ხარჯვა იყო. უკეთესი იქნებოდა, მხოლოდ კერძო რეპეტიტორებთან მევლო. (უნივერსიტეტის სტუდენტი, აზერბაიჯანი)

აზერბაიჯანსა და საქართველოში კერძო რეპეტიტორებთან მომზადების მაგალითების კვლევამ აჩვენა, რომ საგნები, რომლებიც სკოლაში დამამთავრებელ წელს ისწავლება, შეიძლება არ შედიოდეს მისაღებ გამოცდებზე ჩასაბარებელ საგანთა სიაში. ამიტომ, დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ბოლო რამოდენიმე თვის განმავლობაში, შეწყვიტა სკოლაში სიარული და, ამის ნაცვლად, კერძო რეპეტიტორების გაკვეთილებსა და მოსამზადებელ კურსებს ესწრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს შემთხვევები

ოფიციალურად დოკუმენტირებული არ არის, ასეთი პრაქტიკა არ არის უნიკალური მხოლოდ აზერბაიჯანისა² და საქართველოსთვის. იგივე პრობლემები აღინიშნა თურქეთშიც, სადაც ცენტრალიზებული საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდების მოახლოვებამ, მისაღებ გამოცდებამდე 2-3 თვით ადრე, ბევრ მოსწავლეს სკოლაში გაკვეთილებზე სიარულის ნაცვლად, მოსამზადებელ კურსებზე დასწრებისკენ უბიძგა. (Tansel & Bircan, 2006).


კერძო რეპეტიტორობა და სოციალური უთანასწორობა

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ კერძო რეპეტიტორებთან მომზადება ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის. მთელი შერჩევის რესპოდენტთა დაახლოებით 73%-ს სჯერა, რომ კერძო რეპეტიტორთან მომზადება ძვირია. მოსწავლეთა ნაწილისთვის მაღალი ფასი შეიძლება შემაფერხებელ ფაქტორად იქცეს და ისინი კერძო რეპეტიტორთან ამ მიზეზის გამო ვერ მოემზადონ. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც საკუთარი ოჯახის კეთილდღეობას აფასებენ, როგორც საშუალოზე დაბალს, უფრო ნაკლებად მიმართავენ კერძო რეპეტიტორების დახმარებას, ვიდრე ისინი, ვინც საკუთარი ოჯახის კეთილდღეობას აფასებენ, როგორც საშუალოს, ან საშუალოზე მაღალს. საერთო შერჩევაში, კერძო რეპეტიტორებთან მომზადებას იმ მოსწავლეთა 41% მიმართავდა, რომლებმაც საკუთარი ოჯახის კეთილდღეობას აფასებენ, როგორც საშუალოზე მაღალს. მათ შორის, ვინც საკუთარი ოჯახის კეთილდღეობას აფასებს, როგორც საშუალოზე დაბალს, რეპეტიტორებთან მხოლოდ 28% ემზადება. ჯგუფში, რომელიც რეპეტიტორებთან არ ემზადება, დაახლოებით 46%-მა საკუთარი ოჯახების კეთილდღეობა შეაფასა, როგორც საშუალოზე დაბალი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დაბალი სოციო-ეკონომიკური მაჩვენებლის მქონე ოჯახებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია კერძო რეპეტიტორებთან მომზადება. კეთილდღეობის მაღალი მაჩვენებლის მქონე ოჯახების წარმომადგენლებს არა მარტო მეტად მიუწვდებათ ხელი კერძო რეპეტიტორების მომსახურებაზე, არამედ მათ უკეთესი რეპეტიტორების დაქირავებაც შეუძლიათ. საერთო შერჩევაში დაახლოებით 70%-ს სჯერა, რომ უფრო მდიდარი მშობლების შეილება, უკეთესი რეპეტიტორის დაქირავება შეუძლიათ.

² აზერბაიჯანის კვლევის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მოსწავლეთა გაცდენები, რომლებიც კერძო რეპეტიტორებთან მომზადებას უკავშირდება, ოფიციალურ სასკოლო სტატისტიკაში იშვიათადაა დოკუმენტირებული. მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ჩატარებულ ინტერვიუებზე გამოჩნდა, რომ მოსწავლეთა გაცდენები ხშირად ოფიციალურად არ ფიქსირდება. იმის შიშით, რომ სკოლის ხელმძღვანელობა მკაცრ ზომებს მიიღებს, მოსწავლეები ქრთამს უხდიან მასწავლებლებს ან სკოლის დირექტორებს, რათა საკუთარი გაცდენები საპატიოდ ჩაეთვალოთ.

კერძო რეპეტიტორებთან მომზადების ფაქტი უფრო გავრცელებულია მოსწავლეებში, რომელთა მშობლებს სრული ან არასრული უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული. იმ მოსწავლეების საერთო შერჩევაში, რომლებიც კერძო რეპეტიტორებთან ემზადებიან, 72 %-ის მშობლებს უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული, ხოლო 55%-ის მშობლებს, უმაღლესი განათლება მიღებული არ აქვთ (სხვაობა 17 პროცენტი). თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში იმ მოსწავლეებში, რომლებიც კერძო რეპეტიტორებთან ემზადებიან სხვაობა მშობლების განათლების დონის მიხედვით მინიმალურია (მაგ. აზერბაიჯანი და მონღოლეთი), ხოლო სლოვაკეთში, უკრაინასა და პოლონეთში ეს სხვაობა საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება (იხ. დიაგრამა № 5). შესაძლოა, უფრო განათლებული მშობლები აცნობიერებენ კერძო რეპეტიტორებთან მომზადებისა და მოსამზადებელ კურსებში ინვესტიციის პოტენციურ სარგებელს.


დიაგრამა № 5 კერძო რეპეტიტორებთან მომზადების მაჩვენებლები მშობელთა განათლების მიხედვით (უმაღლესი განათლებით ან უმაღლესი განათლების გრეშე)



ზოგადად, არ გამოიკვეთა მნიშვნელოვანი განსხვავება კერძო რეპეტიტორებთან მომზადების კუთხით ქალაქსა და სოფელში. ქალაქისა და სოფლის მაჩვენებლებს შორის სხვაობა საერთო შერჩევის საშუალოს (7.5%) მხოლოდ ხორვატიაში, ლიტვასა და პოლონეთში აღემატება. ლიტვაში, ქალაქი/სოფლის მიხედვით დაყოფა განსაკუთრებით აისახება რეპეტიტორებთან კერძო გაკვეთილების მიღების თვალსაზრისით, ამ კუთხით ქალაქის მოსწავლეების პროპორციული წილი სოფლის მოსწავლეებისას 17 პროცენტით აღემატება. ხორვატიასა და სლოვაკეთში კი ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება ძირითადად უკავშირდება იმას, რომ მოსამზადებელი კურსები ძირითადად ქალაქებშია განლაგებული, რაც სოფლის მოსწავლეთა ნაწილისათვის მიუწვდომელია.

მაგალითად, ხორვატიაში, ქალაქის მოსწავლეების პროპორციული წილი, რომლებიც მოსამზადებელ კურსებზე დადიან, სოფლის მოსწავლეების წილს 11 პროცენტით აღემატება.

დიაგრამა № 6 კერძო რეპეტიტორებთან მომზადების მაჩვენებლები გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით (ქალაქი/სოფელი)



კერძო რეპეტიტორობა და კორუფცია განათლების სისტემაში

როდესაც მასწავლებელი იძულებულია, ნებისმიერი გზით უზრუნველყოს საკმარისი ფინანსური რესურსების მოპოვება საკუთარი თავისა და ოჯახისთვის, შესაძლებელია ის არაეთიკურადაც მოიქცეს. დაბალმა ხელფასმა და სწავლების პროცესის არასაკმარისმა მონიტორინგმა შეიძლება უბიძგოს მასწავლებელს იმისაკენ, რომ კლასში საკუთარ მოსწავლეებს არაკეთილსინდისიერად და უხარისხოდ ასწავლოს, იმიტომ, რომ კერძო გაკვეთილებზე მოთხოვნა შექმნას (Biswal, 1999). მაშინ, როდესაც სოციალისტურ პერიოდში³ განათლების სისტემაში კორუფციის საკმაოდ ბევრი ფაქტი აღინიშნებოდა, კერძო რეპეტიტორობის, როგორც დამატებითი შემოსავლის წყაროს, არაეთიკური გამოყენება გარდამავალი პერიოდის ახალი ფენომენია.

³ ამ პერიოდში, საგანმანათლებლო სისტემაში კორუფციის მრავალი შემთხვევა, განსაკუთრებით უმაღლესში მისაღებ გამოცდებზე ქრთამის აღების მაგალითები ოფიციალურ პრესაშიც კი გამოქვეყნდა, (Jacoby, 1974)

კერძო რეპეტიტორობა და კორუფცია სკოლაში

ისინი (მასწავლებლები) მოსწავლეებისთვის სერვისის მიწოდების მონოპოლისტები არიან, სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული და საკუთარი ქცევისათვის თავს ანგარიშვალდებულად არ თვლიან. ეს წარმოქმნის სიტუაციას, როდესაც მასწავლებელი ცდილობს გაზარდოს მოსწავლეთა შორის სერვისის პოტენციურ მომხარებელთა რაოდენობა, სკოლაში საკუთარი ვალდებულებების თავიდან არიდებითა და სკოლის გარეთ დამატებითი შემოსავლისათვის ფართო ასპარეზის უზრუნველყოფით. (Biswal, 1999).

ცხრა ქვეყანაში ჩატარებული ხარისხობრივი კვლევის მონაცემთა ანალიზმა კერძო რეპეტიტორობის არაეთიკური გამოყენების ორი ძირითადი ტიპი გამოავლინა. (1) „იძულებითი“ მომზადება, რომელსაც, ძირითადად, მასწავლებლები ახვევენ თავს საკუთარ მოსწავლეებს და (2) უფრო შენიღბული "ურთიერთგადამისამართების სისტემა", რაც სხვადასხვა სკოლების მასწავლებელთა შორის კერძო მომზადებისათვის პოტენციური მოსწავლეების „ურთიერთგადაგზავნის“ მექანიზმის ჩამოყალიბებას გულისხმობს.

კერძო რეპეტიტორობის არაეთიკური გამოყენების პირველი ტიპი გულისხმობს მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლეებზე ზეწოლის მოხდენას, რათა ისინი დამატებით მოემზადონ მათთან სკოლის საათების შემდეგ, და ხშირად მოსწავლეთა დაშინებას, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი დაბალ ნიშნებს მიიღებენ. ასეთი პრაქტიკა განსაკუთრებით გავრცელებულია აზერბაიჯანსა და საქართველოში, ასევე, ნაკლები მაშტაბით, უკრაინასა და მონღოლეთში. კვლევის რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, ამ ქვეყნებში განსაკუთრებით მაღალია იმ მოსწავლეთა პროპორციული წილი, რომლებიც კერძოდ საკუთარი კლასის მასწავლებლებთან ემზადებიან, დაახლოებით 40% აზერბაიჯანში, 20% - საქართველოში, 17% - უკრაინაში, მაშინ როდესაც ხორვატიასა და პოლონეთში ეს მაჩვენებელი 10%-ზე დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი კლასის მასწავლებელთან კერძოდ მომზადებას, ნაწილობრივ, შეიძლება სხვა მიზეზებიც განაპირობებდნენ (მაგ. კერძო რეპეტიტორთა ნაკლებობა პატარა ქალაქებსა და სოფლებში)⁴, რამოდენიმე ქვეყანაში მოსწავლეთა მიმართ ასეთი იძულებითი მიდგომა აშკარად მიუთითებს ზოგიერთი მასწავლებლის არაეთიკურ საქციელზე.

⁴ კვლევაში მონაწილე ქვეყანათა უმეტესობაში იმ მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებიც საკუთარი კლასის მოსწავლეებს ასწავლიან მნიშვნელოვნად იცვლება ქალაქისა და სოფლის მიხედვით. მაგალითად, იმ მოსწავლეთა პროპორციული წილი, რომლებიც საკუთარი კლასის მასწავლებლებთან კერძოდ ემზადებიან სოფელში ორჯერ აღემატება ქალაქის მონაცემებს ხორვატიაში, ლიტვაში, მონღოლეთსა და ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. იგივე პროპორცია სამჯერ მაღალი იყო სლოვაკეთში, ხოლო პოლონეთში – ექვსჯერ მაღალი. საწინააღმდეგოდ, ამ კუთხით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირდა აზერბაიჯანში (24% დიდი ქალაქებიდან და 30 % მცირე ქალაქებიდან ემზადება საკუთარ მასწავლებლებთან) და უკრაინაში (21% დიდი

ცხრილი № 8 სკოლის მასწავლებლები, რომლებიც კერძო რეპეტიტორად მუშაობენ (იმ მოსწავლეთა პროცენტი, რომელთა რეპეტიტორები სკოლის მასწავლებლები არიან)

ქვეყანა	თქვენი კლასის მასწავლებელი	სხვა მასწავლებელი ტქვენი სკოლიდან	სხვა სკოლის მასწავლებელი
აზერბაიჯანი	25.6	16.5	36.9
ბოსნია ჰერცეგოვინა	12.4	12.4	17.6
ხორვატია	8.8	8.1	50.2
საქართველო	19.3	8.6	16.3
ლიტვა	16.6	22.1	40.7
მონღოლეთი	39.2	13.6	19.8
პოლონეთი	9.4	7.9	30.6
სლოვაკეთი	10.9	11.8	13.1
უკრაინა	17.2	7.6	13.9
შერჩევის საშუალო (შეწონილი)	20.0	12.5	26.5

„იძულებითი“ მომზადების კიდევ ერთი ნაირსახეობა სახეზეა უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც მოსამზადებელი კურსების ლექტორ/პროფესორები მოქმედებენ, როგორც უნივერსიტეტის პოტენციური სტუდენტებისათვის სერვისის მიწოდების მონოპოლისტები. ხშირად, ეს ხალხი კარგად იცნობს უნივერსიტეტის მისაღები გამოცდების შინაარსსა და პროცედურებს და კორუფციისათვის საკმაოდ ხელშემწყობ გარემოს ქმნიან. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქვეყნებში, სადაც უმაღლესში მისაღები გამოცდები დეცენტრალიზებულია და თითოეული უმაღლესი სასწავლებელი თავად შეიმუშავებს მისაღები გამოცდების ფორმატს და თავადვე წყვეტს, ვინ უნდა ჩაირიცხოს, და ვინ – არა. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. პოლონეთი, უკრაინა, სლოვაკეთი) უნივერსიტეტის ლექტორები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მისაღები გამოცდების ადმინისტრირებასა და შედეგების შეფასებაზე, ამავე დროს კერძო რეპეტიტორებიც არიან. ამ კონტექსტში მათ სრული თავისუფლება აქვთ და იშვიათად აგებენ პასუხს საკუთარ მოქმედებებზე.

ქალაქებიდან და 15 % მცირე ქალაქებიდან ემზადება საკუთარ მასწავლებლებთან). ამ ქვეყნებში სოფლის მოსახლეობისთვის კერძო რეპეტიტორების ხელმისაწვდომობის პრობლემა არ დაფიქსირებულა, რასაც მათთვის საკუთარი სკოლის მასწავლებლის რეპეტიტორად აყვანისკენ შეიძლება ებიძგა. ეს უფრო ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული კორუფციის შედეგია. კორუფციის ინდექსის თანახმად (Transparency International 2005), აზერბაიჯანი და უკრაინა კორუფციის საერთაშორისო რანჟირების მიხედვით ყველაზე ქვემოთ იმყოფება, 158 ქვეყნიდან აზერბაიჯანი 140-ე ადგილზეა, ხოლო უკრაინა 107-ე ადგილზე.

კერძო რეპეტიტორობის არაეთიკური გამოყენების მეორე ტიპი სხვადასხვა სკოლის მასწავლებელთა შორის „ურთიერთგადამისამართების სქემის“ შემუშავებას გულისხმობს. ყველაზე ხშირად, სხვადასხვა სკოლის მასწავლებლები თანხმდებიან ერთმანეთში, რომ ერთმანეთს კერძო მომომზადებისათვის მოსწავლეებს გაუგზავნიან. ეს მოვლენა განსაკუთრებით გავრცელებულია ქვეყნებში, სადაც მასწავლებლებს კანონით ეკრძალებათ საკუთარი სკოლის მოსწავლეების კერძოდ მომზადება ან ეს ფაქტი საზოგადოებრივი აზრისათვის მიუღებელია. მაგალითად ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, ხორვატიაში, პოლონეთში. რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, ამ ქვეყნებში განსაკუთრებით მაღალია იმ მოსწავლეთა პროპორციული წილი, რომელთა რეპეტიტორები სხვა სკოლების პედაგოგები არიან, დაახლოებით 50% ხორვატიაში, 40% - ლიტვაში, 30% - პოლონეთში. ერთ-ერთმა პოლონელმა ფიზიკის მასწავლებელმა განმარტა: „ზოგჯერ პროცესში ჩართულია ორი მასწავლებელი შეხედეთ კასიასა და მალგისიას მაგალითს. ისინი სხვადასხვა სკოლაში მუშაობენ, მაგრამ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ერთმანეთს კერძო მოსწავლეებს უგზავნიან. ასე ახერხებენ ისინი დამატებითი შემოსავლების მოპოვებას, რათა შეავსონ საკუთარი მწირი ანაზღაურება.“

დასკვნა

კერძო რეპეტიტორობა კვლევაში მონაწილე ყველა ქვეყანაში დაფიქსირდა, როგორც მნიშვნელოვანი ფენომენი. ამასთანავე, გამოვლინდა გასხვავებები და მსგავსებებიც. ზოგიერთ შემთხვევაში რეპეტიტორები ერთი-ერთზე მუშაობენ მოსწავლეებთან, ზოგჯერ ეს უფრო დიდ ჯგუფებში ხდება, მაგალითად მოსამზადებელი კურსების შემთხვევაში. ყველა ქვეყანაში, რეპეტიტორულ საქმიანობაში ჩართულია საშუალო სკოლის მასწავლებლებიც და უნივერსიტეტის პერსონალიც. კერძო რეპეტიტორობა ზოგად სასკოლო სისტემაზე სხვადასხვა სახით ახდენს გავლენას. პოზიტიური მხრიდან, მან შეიძლება გაზარდოს მოსწავლეთა სწავლის მოტივაცია, ზოგად სასკოლო სიტემაში არსებულ მეთოდებთან შედარებით უფრო ახალი, ინოვაციური, ინდივიდუალიზირებული სასწავლო მეთოდების შეთავაზების გზით. მან შეიძლება ხელი შეუწყოს მოსწავლეებს მისაღები გამოცდებისათვის მომზადებასა და სკოლაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში. ნეგატიური მხრიდან, კერძო რეპეტიტორობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს სწავლებისა და სწავლის დინამიკაზე სკოლაში და კორუფციის ზრდა გამოიწვიოს.

კერძო რეპეტიტორობის სხვადასხვა მახასიათებლებისა და გამოვლინებების შესწავლა წარმოქმნის კითხვას - რატომ არის კერძო რეპეტიტორობა უფრო თვალსაჩინო გარკვეულ საზოგადოებებში და რა ფაქტორები განაპირობებს ამას სხვადასხვა ქვეყანაში? კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ორივე მოვლენას, კერძო რეპეტიტორობის შეთავაზებასა და მასზე მოთხოვნის წარმოქმნას ბევრი ფაქტორი განაპირობებს, კერძო რეპეტიტორობა განსაკუთრებით მკაფიოდაა წარმოდგენილი იმ ქვეყნებში, სადაც ყველა ფაქტორია სახეზე. მაგალითად, კერძო რეპეტიტორობის მასშტაბი არ არის დამოკიდებული მხოლოდ იმ ფაქტორზე, რომელიც უმაღლესში მისაღები გამოცდები მკაცრად და მაღალი მოთხოვნებით ჩატარებას უკავშირდება, ან მხოლოდ იმაზე, რომ განათლების სისტემაში მაღალი კონკურენციაა. ასევე, იგი არ არის დამოკიდებული მხოლოდ ზოგადი სასკოლო განათლების დაბალი ხარისხზე, ან მასწავლებელთა ხელფასების სიმცირეზე. კერძო რეპეტიტორობა ყველა ამ ფაქტორის ურთიერთქმედებაზეა დამოკიდებული, რაც ზოგიერთ ქვეყანაში მისი გავრცელების განსაკუთრებულად დიდ მასშტაბებს განაპირობებს (სხვა ქვეყნებთან შედარებით). მაგალითად, აზერბაიჯანი, იმ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება, სადაც კერძო რეპეტიტორობის მასშტაბი და ინტენსივობა განსაკუთრებით მაღალია. ამ ქვეყანაში ასევე განსაკუთრებით დაბალია ზოგადი სასკოლო განათლების ხარისხისადმი ნდობა (რაც იმ რესპოდენტთა პროცენტულ მჩვენებელში აისახება, რომელთაც სჯერა, რომ კარგი განათლების მიღება კერძო მომზადების გარეშე შეუძლებელია) და მასწავლებელთა ხელფასების მჩვენებლები (როგორც ხელფასის საარსებო მინიმუმში პროცენტული წილი). საწინააღმდეგოდ, ხორვატიაში, კერძო რეპეტიტორობის მასშტაბი და ინტენსივობა განსაკუთრებით დაბალია, რაც საგარაუდოდ იმ ფაქტის შედეგია, რომ ქვეყანაში არ არის მკაცრი და რთული საგამოცდო სისტემა, შედარებით მაღალია მასწავლებელთა ხელფასები, და მნიშვნელოვნად დაბალია იმ მოსწავლეთა პროცენტული წილი, რომლებიც უნდობლობით ეკიდებიან ზოგად სასკოლო სისტემას.

გამოყენებული ლიტერატურა

Biswal, B.P. (1999). Private tutoring and public corruption: A cost-effective education system for developing countries. *Developing Economics*, XXXVII (2), pp. 222-240

Jacoby, S. (1974). *Inside Soviet Schools*. New York: Schocken Press

Tansel, A & Bircan, F. (2006). demand for Education in Turkey: A Tobit Analysis of Private Tutoring Expenditures. *economics of Education Review*, Vol.25, No.3 (in press)

Transparency International (2005). *The 2005 Corruption Index* [online].

Available:

http://www.transparency.org/pressreleases_archive/2004/2004.10.20.cpi.en.html

კერძო რეპეტიტორობის გავლენა განათლების პოლიტიკასა და პრაქტიკაზე

ივეტა ხილოვა და მარკ ბრეი

კერძო რეპეტიტორობა ფართოდ გავრცელებული, მაგრამ ნაკლებად შესწავლილი ფენომენია ყოფილი სოციალისტური ბლოკის ცხრავე ქვეყანაში.

ამ ფენომენის არსებობით გამოწვეული ეფექტი სახეზეა ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში და განათლების სისტემაში.

გარკვეული თვალსაზრისით, კერძო რეპეტიტორობა, შესაძლოა, სასარგებლოც იყოს. ეს კარგი შესაძლებლობაა ადამიანურ კაპიტალში კერძო ინვესტიციის განსახორციელებლად, ამავე დროს, ის დაბალანაზღაურებადი პედაგოგებისათვის დამატებით შემოსავალს უზრუნველყოფს და, შესაძლოა, სკოლის შემდეგ უმეტესწილად მყოფი მოსწავლეებისათვის დროის შევსების კარგ გზასაც წარმოადგენს. თუმცა, ამასთან ერთად, კერძო რეპეტიტორობა ზრდის სოციალურ უთანასწორობას, არღვევს სასკოლო კურიკულუმს და ხელს უწყობს კორუფციის განვითარებას.

როგორ შეიძლება პოზიტიური გავლენის გაძლიერება და უარყოფითი ეფექტის შემცირება? მთლიანობაში, პოზიტიური მხარეები ყურადღების გარეშეც შეიძლება დავტოვოთ, რადგან კერძო რეპეტიტორობა მათ თავადაც მიხედავს. უფრო მნიშვნელოვანია, კერძო რეპეტიტორობის უარყოფითი გავლენის აღმოფხვრა.

რადგან კერძო რეპეტიტორობის ბუნება საკმაოდ ცვალებადია, დროის სხვადასხვა მონაკვეთსა და სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული პოლიტიკაა გასატარებელი. კერძო რეპეტიტორობის კვლევის საერთაშორისო ანალიზი აჩვენებს, რომ ყველა ქვეყანაში არსებობს კერძო რეპეტიტორობაზე სახელმწიფოს რეაგირების გარკვეული ფორმები (Bray, 2003, 2005; Baker&LeTendre, 2005). ზოგიერთი სახელმწიფო პირდაპირ ღონისძიებებს მიმართავს და, გარკვეულ შემთხვევებში, თუმცა არა ყოველთვის, წარმატებასაც აღწევს. სხვა სახელმწიფოები უფრო დაბნეულნი არიან, მათ ურჩევნიათ, ამ პროცესში პირდაპირი მონაწილეობა არ მიიღონ და ყველაფერი საბაზრო რეგულაციას მიანდონ. კერძო რეპეტიტორობაზე რეაგირების პოლიტიკის რამოდენიმე ტიპური სახე შეიძლება გამოვყოთ:

კერძო რეპეტიტორობის იგნორირება

ზოგიერთ სახელმწიფოს არ აქვს იმის უნარი ან სურვილი, რომ რაიმე გააკეთოს კერძო რეპეტიტორობასთან მიმართებაში და საკითხის იგნორირებას არჩევს. ასეთი სახელმწიფოები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. ერთ ჯგუფში გაერთიანებულია უფრო სუსტი სახელმწიფოები, რომლებიც უბრალოდ ვერ ახერხებენ კერძო რეპეტიტორობის საკითხის მართვას (მაგ. შრი-ლანკა და ნიგერია). მეორე ჯგუფში კი ის სახელმწიფოები შედიან, რომელთაც აქვთ საკითხის დარეგულირების უნარი, მაგრამ ამას საკუთარ პასუხისმგებლობად ან ფუნქციად არ მიიჩნევენ - სექტორი მცირეა და უმნიშვნელოდ ითვლება, ან საკითხი საბაზრო რეგულირების მექანიზმებსაა მინდობილი (მაგ., კანადასა და ბრიტანეთში).

კერძო რეპეტიტორობის აღიარება და რეგულირება

ზოგიერთი სახელმწიფო (მაგ., ჰონგ კონგი) ცდილობს დაარეგულიროს ბაზარი, რათა შეამციროს კერძო რეპეტიტორობის ნეგატიური გავლენა. სხვა ქვეყნებში კერძო რეპეტიტორობის საკითხის რეგულირების მცდელობები შეიძლება შემოიფარგლოს ტექნიკური მექანიზმების შემოღებით (მაგალითად, სათადარიგო გასასვლელებისა და ვენტილაციის სისტემის დამონტაჟების მოთხოვნის წაყენება). სხვა, უფრო ქმედითი ღონისძიებები შეიძლება გულისმობდეს სასწავლო ხარჯების დაფარვას, კლასის ზომის განსაზღვრასა და ახალი სასწავლო გეგმების შემოღებას, ასეთი რეგულაციები გამყარებულია შესაბამისი სანქციებით. ძირითადად, ყველაფერი საკანონმდებლო ჩარჩოების განსაზღვრით იწყება. საკანონმდებლო ჩარჩო ზუსტად ადგენს რეპეტიტორთა და რეპეტიტორული სკოლების საქმიანობას. შემდეგ ეტაპზე ხელისუფლება წყვეტს, რა რესურსები გამოყოს ამ რეგულაციების აღსრულების მონიტორინგისა და თავად რეგულატორული მექანიზმების დახვეწისათვის.

კერძო რეპეტიტორობის აქტიური წახალისება

იშვიათად, ხელისუფლება კერძო რეპეტიტორობას, როგორც მნიშვნელოვან პოზიტიურ ძალას აღიქვამს, რომელსაც მხარდაჭერა სჭირდება (მაგ. სინგაპურსა და სამხრეთ აფრიკაში). მათი პოლიტიკა ეფუძნება არგუმენტს, რომ კერძო რეპეტიტორობა მოსწავლეთათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ ინსტრუქტაჟს უზრუნველყოფს, რითაც მნიშვნელოვნად ზრდის ადამიანურ კაპიტალს, რაც საბოლოოდ მთელი საზოგადოების სარგებელს წარმოადგენს. მხარდაჭერა შეიძლება ზოგადად დეკლარირდეს პოლიტიკის დონეზე, ან შეიძლება უფრო კონკრეტულ ღონისძიებებში გამოიხატოს და კერძო რეპეტიტორებისთვის

სუბსიდიების გამოყოფას, პოტენციური რეპეტიტორებისა და კლიენტების დაკავშირების მიზნით ინფორმაციის გავრცელებასა და საგადასახადო შეღავათებს გულისხმობდეს.

კერძო რეპეტიტორობის აკრძალვა

ეს მიდგომა კრძალავს ნებისმიერი კომერციული სახის კერძო რეპეტიტორობას და სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე მოსწავლეთათვის მხოლოდ გადაუდებელ, ნებაყოფლობით და საზოგადოებრივ საწყისებზე დამყარებულ დახმარებას აკანონებს. ყველაზე ხშირად, ასეთი მიდგომა ეფუძნება დაშვებას, რომ კერძო რეპეტიტორობა სოციალური უთანასწორობის ზრდას უწყობს ხელს. ოფიციალური აკრძალვები კერძო რეპეტიტორობაზე სხვადასხვა დროს კამბოჯაში, სამხრეთ აფრიკასა და სხვა ქვეყნებში დაინერგა. თუმცა, ეს აკრძალვები უმეტეს შემთხვევაში არაეფექტური იყო, რადგან ხელისუფლებას არ შეეძლო სიტუაციაზე რეალური ზეგავლენის მოხდენა.

კვლევის შედეგებმა ცხადჰყო, რომ ყოფილი სოციალისტური ბლოკის ცხრავე ქვეყნის ხელისუფლებას კერძო რეპეტიტორობის იგნორირების ხანგრძლივი ტრადიციები აქვს. ყველა ამ ქვეყანაში, საზოგადოება კარგად არის ინფორმირებული განათლების სისტემაში ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობის შესახებ, მაგრამ კერძო რეპეტიტორობა იშვიათად მოიხსენიება განათლების რეფორმის შესახებ სახელმწიფო დოკუმენტაციაში. ეს ნაწილობრივ იმიტომ ხდება, რომ სახელმწიფო არ აკონტროლებს კერძო რეპეტიტორობას და თითქოს ერიდება კიდევ ამ თემის აფიშირებას. ასევე, თვალსაჩინოა კვლევითი და სხვა ტიპის ინფორმაციის ნაკლებობა - ხელისუფლება ზომებს არ იღებს კერძო რეპეტიტორობის ფენომენისა და მისი სოციალური, საგანმანათლებლო და ეკონომიკური ეფექტის შესასწავლად.

კერძო რეპეტიტორობა ფართოდაა გავრცელებული რეგიონში. ამიტომ, სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში საკმაოდ რთული იქნება მისი იგნორირება. ხელისუფლება, რომელსაც ამჟამად არ აქვს შემუშავებული სპეციფიური პოლიტიკა რეპეტიტორობასთან დაკავშირებით, მალე შეიძლება წნეხის ქვეშ აღმოჩნდეს და სწრაფ რეჟიმში მოუწიოს გადაწყვეტილებების მიღება. სანამ ხელისუფლება კონკრეტულ ღონისძიებებს განახორციელებს, ზუსტად უნდა იყოს გამოთვლილი ამ ღონისძიებების ღირებულება, რადგან გარკვეულ შემთხვევებში, კონტროლზე გაწეული დანახარჯები რეალურ სარგებელს აღემატება. რა თქმა

უნდა, პოლიტიკა კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით უნდა შეიქმნას და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით უნდა შემუშავდეს. ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტები წარმოადგენს რეკომენდაციებს, ამგვარი პოლიტიკის შემუშავების პროცესისათვის:

კერძო რეპეტიტორობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება

მიზანშეწონილია, რომ კერძო რეპეტიტორობის ფენომენს ხელისუფლების, მედიის, პროფესიული ასოციაციებისა და მთელი საზოგადოების მხრიდან მეტი ყურადღება დაეთმოს. მეტაფორას თუ გამოვიყენებთ, კერძო რეპეტიტორობა ჩრდილიდან უნდა გამოვიდეს. ჩატარებული კვლევის შედეგები შეიძლება ათვლის წერტილად ჩაითვალოს. მკითხველმა უნდა გაიგოს, თუ რატომ არის ეს ფენომენი მეტად გავრცელებული კონკრეტულ ქვეყნებში, რა გავლენას ახდენს იგი განათლებაზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე.

კერძო რეპეტიტორობის რეგულირება უთანასწორობისა და კორუფციის შესამცირებლად

რამოდენიმე რესპოდენტი და კვლევაში ჩართული პირი აღნიშნავს, რომ ხელისუფლება უნდა არეგულირებდეს რეპეტიტორების მუშაობის ხარისხსა და მის ხელმისწავდომობას. ეს შემოთავაზებები შეიძლება ყოველთვის რეალისტური არ იყოს, რადგან რეპეტიტრობა ხშირად არაფორმალურ ხასიათს ატარებს (მაგ. რეპეტიტორსა და მის კლიენტს შორის კერძო მოლაპარაკების შემთხვევაში). მეტიც, რეპეტიტორობის ყველა ფორმის რეგულირება რომ შეიძლებოდეს, მაინც საჭკვოა, რომ ეს ამოცანა კვლევის მონაწილე ქვეყნების პრიორიტეტი გახდეს, მათ ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით. ალტერნატიული შემოთავაზება ხელისუფლების მხრიდან კერძო რეპეტიტორობის აკრძალვას გულისხმობს. ისევ და ისევ, ეს განუხორციელებელი ამოცანაა, მით უმეტეს, ყოფილი სოციალისტური ქვეყნების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, საგარაუდოდ, ხელისუფლებისთვის ძალიან სასურველი უნდა იყოს სკოლის პედაგოგებისთვის საკუთარი მოსწავლეების კერძოდ მომზადების აკრძალვა. ეს შეამცირებს იმის რისკს, რომ მასწავლებლები მიკერძოებულად დაუწერენ ნიშნებს საკუთარ

მოსწავლეებს. ეს, ასევე, შეამცირებს იმის ალბათობას, რომ მასწავლებლები გაკვეთილებზე არასათანადოდ გაივლიან სავალდებულო მასალას და „დანარჩენს“ კერძო გაკვეთილებზე ასწავლიან საკუთარ მოსწავლეებს. ამავე დროს, უნივერსიტეტის პროფესორებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება, შესთავაზონ კერძო რეპეტიტორობის მომსახურება პოტენციურ სტუდენტებს, იმისათვის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე კორუფციის ფაქტები შემცირდეს.

მასწავლებლებისათვის ადეკვატური ანაზღაურების უზრუნველყოფა
კვლევის შედეგები ცხადყოფს პედაგოგებისთვის ადეკვატური ანაზღაურების გაცემის საჭიროებას, რადგან კერძო რეპეტიტორობა, ძირითადად, მასწავლებელთა დაბალი ანაზღაურებითა და მათი მხრიდან დამატებითი შემოსავლის მიღების სურვილითაა განპირობებული. მასწავლებელთა ხელფასები, რა თქმა უნდა, ქვეყნისათვის და ბიუჯეტისთვის მისაღებ ჩარჩოებში უნდა ჯდებოდეს;

სასურველია, რომ კვლევის შედეგები შემდგომი დისკუსიისა და დებატების საგანი გახდეს. თუ იგი მოახერხებს საკითხის შესასწავლად და გამოსავალის მოსაძიებლად შემდგომი ანალიზისა და კვლევის სტიმულირებას, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მან თავის მთავარ ამოცანას წარმატებით მიაღწია.

გამოყენებული ლიტერატურა

Baker, D.P.&LeTendre, G.K. (2005): *National Differences, Global Similarities: Worl Culture and the Future of Schooling*. Stanford: Standard University Press.

Bray, M. (2003). *Adverse Effects of Private Tutoring: Dimensions, Implications and Government responses*. Series: "Ethic and Corruption in Education". Paris: UNESCO International Institute for Education Planning.

Bray, M. (2005). Private Supplementary Tutoring: Comparative Perspectives on Patterns and Implications". paper presented at the Oxford International Conference on Education and Development, 13-15 September